წელიწადი მესამე | ფასი 10 კ. | პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ახალი გზა

ყოველკვირეული პოლიტიკური, ეკონომიური და ლიტერატურული ჟურნალი.

კვირა 23 ოქტომბერი 1927 წ.

რედაქცია და კანტორა
რუსთაველის პროსპექტი, № 22, ოთახი 20. ტელ. № 23—87
ღიაა ყოველ დღე, გარდა კვირა-უქმისა, დილის 9—1 საათამდე.

№ 40

## ჟურნალის შინაარსი

ცაკის მანიფესტის გამო— **ს. ელიაძე**; „საზოგადო მოღვაწის კერძო ცხოვრება“—**ზ. ჩახვაძე**; ერთი პოლემიკის გამო —**ალ. ხელაძე**; ვინ არის ახალგაზრდა?—**ბარნაბა ძველაია**; რა სურს ემიგრაციას— **ლეო შენგელაია**; „ბრძოლის“ რედაქციას **ყარიბი**; პოლიტიკური მიმოხილვა—**კ. ქეიშვილი**; ერთი თვალის გადავლებით—**პროლეტარი**; ორი სამკუთხედი და ჩინეთი—**ი. ნარსია**; ინდუსტრიალიზაციის სესხის მნიშვნელობა—**კ. ჯავრიშვილი**; წერილი ფოთიდან.

# ცაკის მანიფესტის გამო

ოქტომბრის რევოლიუციის ათი წლის თავის დღესასწაულთან დაკავშირებით ლენინგრადში გაიხსნა საკავშირო ცაკის საზეიმო სესია, რომელმაც მოისმინა საკავშირო მთავრობის წარსული საქმიანობის ანგარიში.

ამ სესიის მუშაობა არსებითად განხსვავდება წინანდელი სესიების მუშაობიდან, ვინაიდან ის ერთის მხრით შეიკრიბა ისეთ სამრეწველო ცენტრში, რომელმაც პირველად აღმართა რევოლიუციის დროშა, ხოლო მეორეს მხრივ სესიამ მანიფესტით მიმართა საბჭოთა რესპუბლიკების მშრომელ მასებს.

მანიფესტის პირველ მუხლში ნათქვამია: „უახლოეს წლებში საწარმოო და საფაბრიკო-საქარხნო მუშები გადაყვანილ იქნან რვა საათის სამუშაო დღიდან შვიდი საათის სამუშაო დღეზე, სამუშაო ხელფასის შეუმცირებლად; ამიტომ საკავშირო ცაკისა და სახკომსაბჭოს პრეზიდიუმს დაევალოს არა უგვიანეს ერთი წლისა, შეუდგეს ამ დადგენილების თანდათანობით განხორციელებას მრეწველობის ცალკე დარგების მიმართ, საფაბრიკო-საქარხნო წარმოებების რაციონალიზაციისა, გადაკეთების და შრომის ნაყოფიერების ზრდასთან დაკავშირებით“.

ამრიგად საზეიმო სესიამ გადასდგა ფრიად საპასუხისმგებლო ნაბიჯი, რომელსაც უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს საბჭოთა კავშირის მუშათა კლასისათვის. მისი მნიშვნელობა არ განისაზღვრება მარტო ეკონომიური სარგებლიანობის თვალსაზრისით, მას აქვს აგრეთვე პოლიტიკური ღირებულებაც.

როგორც ცნობილია კაპიტალისტური ქვეყნების მუშათა კლასი, სადაც წარმოება გაცილებით უფრო განვითარებულია, დღესაც მედგარ ბრძოლას აწარმოებს რვა საათის სამუშაო დღის მოსაპოებლად. დღემდის მხოლოდ ინგლისის მაღაროების მუშები სარგებლობდენ შვიდი საათის სამუშაო დღით, მაგრამ როგორც მკითხველებმა იციან გასული წლის გაფიცვის შემდეგ, მაღაროებშიაც შემოიღეს რვა საათის სამუშაო დღე. ქვანახშირის მაგნატები ამითაც არ დაკმაყოფილდენ თავიანთი გაუმაძღარი მადის დასაკმაყოფილებლად და შრომის ხელფასიც შეუმცირეს მაღაროს მუშებს.

დღეს გერმანიის მემაღაროებმა გამოაცხადეს გაფიცვა თავიანთი აუტანელი ეკონომიური პირობების გასაუმჯობესებლად, მაგრამ აქედანვე შეიძლება ითქვას, რომ ეს გაფიცვაც დამარცხებით დამთავრდება მოღალატე რეფორმისტების წყალობით, ვინაიდან ეს ვაჟბატონები ყოველთვის წინააღმდეგი არიან გაფიცვის და მოლაპარაკებისა და შეთანხმების გზით სურთ მუშათა კლასის თვალის ახვევა. ამასთან დაკავშირებით, თუ მივიღებთ მხედველობაში დანარჩენ კაპიტალისტურ ქვეყნებში წარმოებულ ბრძოლას და ეკონომიურ გაფიცვებს, ჩვენთვის ნათელი გახდება, რომ კაპიტალისტური სტაბილიზაცია, რასაც ნაწილობრივ მსოფლიო ომის შემდეგ ადგილი აქვს კაპიტალისტურ ქვეყნებში ხდება მუშათა კლასის გაყვლეფით ამ უკანასკნელის ხარჯზე.

ევროპის მუშათა კლასმა ჯერ კიდევ ვერ მიაღწია რვა საათის სამუშაო დღის დაკანონებას. ამ საქმისთვის არ იწუხებს თავს არც ამსტერდამის ინტერნაციონალი, არც ერთა ლიგასთან არსებული შრომის საერთაშორისო ბიურო და არც ცალკე ქვეყნების რეფორმისტული პროფკავშირების ხელმძღვანელები. მათი მთავარი გულისყური იქითკენაა მიპყრობილი, რომ როგორმე მოადუნონ მუშათა კლასის აქტიობა.

სულ სხვა მდგომარეობაა საბჭოთა რესპუბლიკებში. ვინ არ იცის, რომ ყოფილი რუსეთის იმპერია წარმოადგენდა ეკონომიურად ჩამორჩენილ ხმარეს და მასში მრეწველობა ძალზე სუსტად იყო განვითარებული. ამას ზედ დაერთო აგრეთვე მსოფლიო და სამოქალაქო ომები, ინტერვენცია და ეკონომიური ბლოკადა, რომელმაც მიწასთან გაასწორა, როგორც მრეწველობა, ისე სასოფლო მეურნეობაც. სახკომსაბჭოს თავმჯდომარის ამხ. რიკოვის მოხსენებიდან სჩანს, რომ 1921 წელში სასოფლო მეურნეობის პროდუქცია ომის წინა დროსთან შედარებით უდრიდა 50 პროცენტზე ცოტა მეტს, ხოლო მრეწველობის ნაწარმოები შემცირდა ერთი ხუთად და უდრიდა მხოლოდ 20 პროცენტს.

მიუხედავად ამისა მშრომელი ხალხის აქტიური დახმარებით საბჭოთა ხელისუფლებამ ხუთი - ექვსი წლის განმავლობაში შესძლო აღდგენა ამ დანგრეული მეურნეობის და მისი აყვანა ომის წინადროინდელ დონესთან.

ამჟამად მთელი გულისყური მიპყრობილია ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისაკენ და ასეთ პირობებში შვიდი საათის სამუშაო დღის განხორციელება ჩვენგან მოითხოვს უაღრეს სიფრთხილეს და წინდახედულებას. მისი ცხოვრებაში გატარება ბევრადაა დამოკიდებული თვით მუშათა კლასის აქტივობასა და თავდადებაზე. შვიდი საათის სამუშაო დღეზე გადასვლამ სრულიადაც არ უნდა შეამციროს ნაწარმოების არსებული რაოდენობა, პირიქით კიდევაც უნდა იქნეს გადიდებული. ეს კი შესაძლებელია ერთის მხრივ ინტენსიური მუშაობით, ხოლო მეორე მხრივ წარმოების რაციონალიზაციით, არსებულ ტეხნიკის გაუმჯობესებით, ორივე ამ მიმართულებით უნდა გაათკეცებულ იქნეს მუშაობა.

ამ აქტის განხორციელება ერთხელ კიდევ დაარწმუნებს საბჭოთა კავშირის როგორც მტრებს, ისე მოკეთეებსაც, რომ ჩვენში შენდება და მტკიცდება სოციალისტური წყობილება, რამაც საბოლოოდ გაიკაფა გზა. კაპიტალისტური რაციონალიზაცია ტარდება მუშათა კლასის ხარჯზე, სოციალისტური რაციონალიზაცია კი პირიქით, აუმჯობესებს მის ეკონომიურ მდგომარეობას და მიყავს ის საბოლოო გამარჯვებამდე.

ეჭვი არაა ბურჟუაზიული და რეფორმისტული პრესა ამ აქტის გამო, ასტეხს ჩვეულებრივ განგაშს და შეეცდება თავიანთი ქვეყნების მუშათა კლასის თვალის ახვევას, მაგრამ უიმედო იქნება მათი წუწუნი. ისინი შეცდომაში ვერავის შეიყვანენ და კაპიტალისტური ქვეყნების მუშებიც აქედან შესაფერ დასკვნას გააკეთებენ.

მანიფესტის მეორე მუხლი ეხება მუშათა საბინაო მშენებლობის გაძლიერების აუცილებლობას. ამ მიზნით დამატებით იქნება გადადებული 50 მილიონი მანეთი. რა თქმა უნდა, ეს თანხა არ არის ძალიან დიდი საბინაო კრიზისის გადასაჭრელად, მაგრამ უკვე გადადებულ თანხებთან ერთად, რაც თითქმის ნახევარ მილიარდ მანეთს უდრის, შესამჩნევად გააძლიერებს საბინაო მშენებლობას.

სხვა ღონისძიებებთან ერთად უსათუოდ დიდმნიშვნელოვანია მანიფესტის მე-6 მუხლი, რომელშიაც ნათქვამია: „საკავშირო ცაკისა და სახკომსაბჭოს პრეზიდიუმს დაევალოს რიგს გარეშე კანონის შემუშავება მცირე შემძლე გლეხებიდან ჰასაკ გადაცილებულთა სახელმწიფო ხარჯზე უზრუნველყოფის შესახებ და ამ კანონის წარდგენა საბჭოთა კავშირის საბჭოთა უახლოეს ყრილობაზე“.

კანონმდებლობის ისტორიაში, ეს პირველი მაგალითია, როდესაც სახელმწიფო იღებს ვალდებულებას ჰასაკ გადაცილებულ ღარიბ გლეხობის პენსიით უზრუნველყოფის შესახებ. ამით ერთხელ კიდევ მტკიცდება, რომ საბჭოთა ხელისუფლება ერთნაირის მზრუნველობით ეპყრობა როგორც წარმოებაში ჩაბმულ მუშას, ისე სასოფლო მეურნეობაში მომუშავე გლეხობას. მოხუცებულობის დროს ეკონომიური უზრუნველყოფა ყველაზე უკეთესი გარანტიაა ადამიანის არსებობისა. მისი ხანხორციელება მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების არსებობის პირობებში ხდება შესაძლებელი. ამ აქტით კიდევ უფრო ადვილი გახდება ქალაქისა და სოფლის მოსახლეობის დაკავშირება და მათი ერთი მიზნით გამსჭვალვა. ეს მიზანი კი არის ამ ხელისუფლებისა და საბჭოთა წყობილების აქტიური დაცვა შინაურ და გარეშე მტრებისაგან და მისი კიდევ უფრო განმტკიცება.

მანიფესტის დანარჩენი მუხლებიც მიმართულია გლეხობის ეკონომიური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

თვითმპყრობელური რეჟიმის დროს ღარიბ გლეხობას სულს უხუთავდა მძიმე გადასახადები. ამჟამად კი საგლეხო მეურნეობის 25 პროცენტი განთავისუფლებულია მთლიან სასოფლო - სამეურნეო გადასახადისაგან. მანიფესტის მესამე მუხლის მიხედვით გადასახადისაგან თავისუფლდება ღარიბი გლეხობის კიდევ ათი პროცენტი, რაც მის ეკონომიურ მდგომარეობას კიდევ უფრო გააუმჯობესებს. გადიდებულია ერთი-ორად სამხედრო ინვალიდთა დასაზღვევი ფონდი, სახელმწიფო კისრულობს ღარიბი და საშუალო გლეხობის მეურნეობათა მიწად - მოწყობას. დამატებით გადადებულია 15 მილიონი მანეთი სასკოლო მშენებლობის გასაძლიერებლად.

აქედან ყველასათვის ცხადი ხდება, რომ მხოლოდ საბჭოთა სისტემის დროს არის შესაძლებელი როგორც მუშათა კლასის ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესება, ისე საერთოდ მშრომელთა კეთილდღეობა.

ათი წლის დაუღალავი მუშაობით საბჭოთა რესპუბლიკების მშრომელმა ხალხმა აღადგინა როგორც სასოფლო მეურნეობა, ისე დანგრეული წარმოებაც და ფეხი შესდგა ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის გზაზე. მომავალი ათი წელი კიდევ უფრო ნაყოფიერი იქნებოდა სოციალისტური აღმშენებლობის ფრონტზე.

მშრომელი ხალხის წინაშე სდგას მეტად მძიმე ამოცანა, მან ბოლომდის უნდა მიიყვანოს დაწყებული სოციალისტური მშენებლობა, რაც თვითეულ მშრომელს ავალებს კიდევ უფრო გაათკეცებული ენერგიით განაგრძოს მუშაობა.

საბჭოთა კავშირს ჯერ კიდევ საბოლოოდ არ დაუღწევია თავი გარეშე საფრთხისაგან. იმპერიალისტები კიდევ ილესავენ კბილებს საბჭოთა წყობილების მოსასპობად, მაგრამ რამდენად ჩვენი ეკონომიკა ძლიერდება, იმდენად მათი იმედები თანდათანობით ჰაერში გამოკიდებული რჩება.

1917 წლის 26 ოქტომბერს პეტროგრადის ქუჩებში აფრიალებული წითელი დროშა, რომელმაც დაამყარა საბჭოთა წყობილება, არასოდეს არ დაიხრება ძირს. პირიქით, მისი სამოქმედო არე კიდევ უფრო გაძლიერდება და მოეფინება მთელ მსოფლიოს.

ს. ელიაძე.

# „საზოგადო მოღვაწის პერძო ცხოვრება“

ემიგრაციაში გახიზნულ „მოღვაწეებს“ ამ ბოლო დროს ერთი რომანტიული ჩვეულება დასჩემდათ. სჩივიან იმას, რომ ქართველ კაცში არ არის განვითარებული წარსულისადმი და წინაპართა მოღვაწეობისადმი პატივისცემის გრძნობა. ამ ჰანგის სხვადასხვა ვარიაციებით გამღერება აშკარა გამომხატველი არის იმ პესიმისტური განწყობილების, რომლითაც ემიგრანტული წრეები არის შეპყრობილი; და ეს არც ისე გასაკვირიცაა პსიქოლოგიურად. საქართველოს წარსულისა და მისი „ეროვნული“ ტრადიციების სპეტაკ მატარებლათ თავიანთი თავი წარმოდგენილი აქვთ სწორედ ემიგრაციაში გახიზნულ, საქართველოს ყოფილ საზოგადო მოღვაწეებს; სწორედ იმ მოღვაწეებს, რომლებსაც მე-19 საუკ. მიწურულსა და მე-20 საუკ. პირველ მეოთხედში მოუხდათ აქტიური „მოღვაწეობა“ საქართველოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ეს ისეთი ტიპის მოაზროვნე ხალხი არის, რომლისთვისაც არავითარი მომავალი არ არის უზრუნველყოფილი მსოფლგაგებისა და აზროვნების იმ წრის გარეშე, რომელიც მათ წარსულში შეითვისეს; ვერ წარმოუდგენიათ, რომ საქართველოს მშომელ ხალხს, სრულიად გულდამშვიდებით შეუძლია თავის ისტორიულ განვითარების მესაჭე იქნეს იმ „ეროვნულ კონცეპციის“ რეალიზაციის გარეშე, რომელიც წარსულის წარმომადგენელთ — ქართველი ემიგრაციის მეთაურებს შეუმუშავებიათ. განსაკუთრებით კი ემიგრაციის მენშევიკურ ნაწილს ვერავითარ შემთხვევაში ვერ წარმოუდგენია, რომ შესაძლებელია სა-

ქართველოს ისტორიულ ბედის დაცილება ქართულ მენშევიზმის ისტორიულ ბედისაგან.

და ამას ასაბუთებენ იმ „ტრადიციით“, რომელიც ქართულმა მენშევიზმმა შექმნა საქართველოს წარსულ საზოგადოებრივ ცხოვრებაში. მიმდინარე სოციალურმა ქიდილმა ვერაფერი ახალი ვერ ასწავლა ამ ხალხს და ვერც აუხილა თვალები იმ გარემოებაზედ, რომ ძველი გზით სიარული ახალ სოციალურ სინამდვილეში ორგანიულად შეუძლებელი საქმეა. ამ პოლიტიკურ სიბეცის მიზეზი იმა შიდაც უნდა ვეძიოთ, რომ ისენი მოწყვეტილი არიან იმ რეალურ მოქმედება - შემოქმედების ნიადაგს, რომელსაც საქართველოს პირობებში არ შეუძლია არ გამოიწვიოს ძველი ღირებულებათა გადაფასება. მაგრამ ის, ვინც აქ დარჩა, ორგანიულად ჩაება იმ აღმშენებლობით მუშაობაში, რომელიც საბჭოთა ხელისუფლებამ გამართა კომპარტიის ხელმძღვანელობით, არ შეეძლო არ დაფიქრებულიყო, წარსულისათვის თვალი გადაევლო, მისთვის ისტორიული შეფასება მიეცა და არ დაენახა ის ახალი ისტორიული გზები, რომლებიც ისტორიულ პერსპექტივაში გამოსჩანან. ის ვინც სალი სათვალეებით შეიარაღდა და სინამდვილეს პირდაპირ შეხედა, ვერ დაადგებოდა ერთი ქართული ანდაზის ფილოსოფიას: „ნუ დააგდებ ძველსა გზასა, ნურცა ძველსა მეგობარსა“-ო. სწორედ იმ მასაძ, რომელიც ამჟამად ემიგრაციაში მყოფ „ძველ მეგობრებს“ მიჰყვებოდა, დააგდო ძველი გზა, ზურგი უჩვენა ამ ძველ მეგობრებს და მივიდა იმ წითელი დროშის ქვეშ, რომელიც მტკიცეთ უპყრია ხელთ მსოფლიოს მშრომელთა ისტორიულ ბედის მეგობარს, კომუნისტურ პარტიას.

რასაკვირველია ამ მდგომარეობით ვერ იქნება კმაყოფილი ემიგრაციის მესვეურნი და თავიანთ ისტორიულ ბედის პრიზმაში სრულიად სამართლიანად სჩივიან, რომ „ქართველ კაცს“ ადვილად შეუძლია დააგდოს ძველი გზა და ძველი ტრადიციები. მაგრამ ეს დადებით თვისებათ უნდა ჩაეთვალოს საქართველოს მშრომელ ხალხს, რომელიც არ არის შეპყრობილი ეროვნული რომანტიზმის სულისკვეთებით, ყოველთვის წინ იხედება და თავის სვლიგეზს ისე მიმართავს, როგორც ეს სახეირო იქნება იმ დიადი საქმისათვის, რომელსაც ჩაგრული კაცობრიობის საბოლოო სოციალური განთავისუფლება ეწოდება.

მაგრამ თვით ამ ემიგრაციის ბურჯებს და კერძოთ კი ბურჯთა - ბურჯს, ბ-ნ ნ. ჟორდანიას თვით დასჩემდა ამ ბოლო დროს გულმავიწყობა და ძველი გზის დაგდება. ამ ჟამათ ჩვენ ერთ-ერთ უდიდესი მნიშვნელობის ფაქტზედ შევჩერდებით, ვიტოვებთ რა უფლებას შემდეგში მიუთითოთ გულმავიწყობის სხვა ფაქტებზედაც. ეს საკითხი ეხება საზოგადო მოღვაწისა და მით უმეტეს „ერის ბელადათ“ წოდებულ პირის კერძო და საზოგადოებრივ ცხოვრებას.

„... საზოგადოების მხრით მეთაურნი, ხალხის წინამძღოლნი, ზნეობრივათ მოვალენი არიან თუ არა თავისი პირადი ცხოვრებით ასეთი თუ ისეთი ზნეობრივი მაგალითი წამოაყენოს. ისინი, როგორ უნდა უყურებდენ თავის კერძო ცხოვრებას, ისე როგორც მართლა „კერძოს“, თუ ისეთს, საითკენაც ათასი და ათი ათასის თვალია მიჩერებული და მრავალთათვის საინტერესოთ არის გადაქცეული“. ასე იდგა საკითხი, რომელიც პასუხს მოითხოვდა.

„თანამედროვე მოქალაქეობის განვითარება, არის იმავე დროს განვითარება საზოგადო ზედამხედველობის მოქალაქეთა მოქმედებაზედ“. „საზოგადო მოღვაწე ისეთი კაცია, რომელიც საზოგადოების დახარჩენ წევრებზედ გონებრივად და ზნეობრივად ამაღლებულია და საერთო საქმეს შებმია. ის მთელი თავისი მოქმედებით ეკუთვნის საზოგადოებას და მისი პირდაპირი გამკითხავი ეს უკანასკნელია“ „თუ კი ის საზოგადოებაში მოძმეთა სიყვარულს ქადაგებს, ხოლო ჩუმათ კი მოძმეს ძირს უთხრის — განა ეს ორპირობა არ არის?“ „ეს არის ორპირობა და მთელი თქვენი სიყვარული საზოგადო საქმისადმი მხოლოდ ერთი მოხერხებული ფარისევლობაა“. „ეს იწვევს დაცემას არა თუ იმ პირისას, არამედ მთელი პარტიის სახელის გატეხასაც“. „მეტის მქონეს მეტი უნდა მოეთხოვებოდეს და ნაკლებისას ნაკლები. საზოგადო მოღვაწის კერძო ცხოვრებას გაცილებით უფრო მკაცრათ უნდა მოვეპყრათ, ვინემ კერძო პირის, ვინაიდან ამ უკანასკნელს, როგორც უცნობს დიდი გავლენა არ აქვს, მის ამბებს ბევრი არ გაიგებს და მაშასადამე, დიდ ზიანსაც ვერ მოიტანს. სამაგიეროთ, სულ სხვაა პირველი, მას ყველა იცნობს, მისი სახელი ყველას გაუგონია, მისი მოღვაწეობა ყველას აინტერესებს და მაშასადამე, მისი შეცდომა ყველას აალაპარაკებს. მისი ცუდი საქციელი ბევრს კიდევაც წაახალისებს“.

აი ასეთი იყო პასუხები მოცემული ზემოთ დასმულ კითხვაზე. როგორც კითხვა, ისე მასზე მოცემული პასუხები დაწერილია ბ-ნ ნ. ჟორდანიას მიერ 27 წლის წინეთ (ნ. ჟორდანია „რჩეული ნაწერები“ გვ. 420—426 — „საზოგადო მოღვაწის კერძო ცხოვრება“) ნ. ჟორდანიას ამ აზრებს ჩვენ სრულებით ვიზიარებთ, მაგრამ იზიარებს კი მას თვით ნ. ჟორდანია? არა, არ იზიარებს. როგორც მკითხველ საზოგადოებას მოეხსენება, როგორც გაზ. „კომუნისტის“, ისე ჩვენი ჟურნალის ფურცლებზე გამოქვეყნებული იქნა ის წერილები, რომლებიც ბ. ბ. ნ. ჟორდანიამ და ნ. რამიშვილმა გამოიტანეს „ჯოჯოხეთის“ ასაფეთქებლად წარმოგზავნილ აბესალომ პრალელს — ივანე ქარცივაძეს. ამ წერილებში მოცემული იყო დირექტივა ახალი აჯანყების მზადების და ამ მიზნით ქართულ ლაშქარში ჯარის გამხრწნელ მუშაობის წარმოების. მოცემული იყო მითითება იმის შესახებაც, თუ რა წესით უნდა შემდგარიყო „განთავისუფლებულ საქართველოს“ მთავრობა.

ორივე ეს წერილი გამოგზავნილი იქნა, როგორც სჩანს მენშევიკურ ემიგრაციის დასტურის გარეშედაც კი (ეს დემოკრატიზმის სანიმუშო მაგალითია!!) და როდესაც ეს წერილები კომუნისტურმა პრესამ საქვეყნოთ გამოაცხადა, ბ. ნ. ჟორდანიას (ამ შემთხვევაში ნ. რამიშვილზე ლაპარაკი არ ღირს) რეაბილიტაციის მიზნით მოუხდა კიდევაც პირადული წერილობითი განმარტება გამოექვეყნებია ჟურნალ „ბრძოლა“-ში. ის იმართლებდა თავს, რომ მის წერილს თითქოს კერძო ხასიათი (!) ჰქონდა და არავითარ კავშირში არ იყო იმ საზოგადოებრივ საკითხებთან, რომლებიც ემიგრაციის წინაშე სდგას „ქართველ ერის“ მიმართ.

მაგრამ თავის მართლების ასეთი წესი განა პასუხისმგებლობას ხსნის იმ ნ. ჟორდანიას, რომელიც 27 წლის წინეთ ლაპარაკობდა, რომ ბელადის „ცუდი საქციელი ბევრს კიდევაც წაახალისებსო“, რომ 27 წლის წინეთ ნათქვამი ღირსეულათ გავასხივოსნოთ და საზოგადოებრივ აზრის მეხსიერებაში აღვადგინოთ ზედმეტი არ იქნება და დავაყენოთ მთელი რიგი საკითხებისა.

თუ მენშევიკების იმ მტკიცებას დავუჯერებთ, რომ საქართველოს ხელისუფლება „ძალათ მაცხონე“-ს წყობილებაა და მის წინააღმდეგ მთელი „ქართველი ერი“ ჩუმ ბრძოლას აწარმოებს, მართლა კერძო ცხოვრება არის თუ არა ნ. ჟორდანიას კერძო ცხოვრება, არის თუ არა მისკენ მიჩერებული „ათასი და ათი ათასი თვალი“ და არის თუ არა ამიტომ მისი პირადი ცხოვრება „მრავალთათვის საინტერესოთ გადაქცეული?“

რასაკვირველია არის და არის იმიტომ, რომ ნ. ჟორდანიას არა თუ წერილს, არამედ სიტყვასაც გიპნოტიური მნიშვნელობა აქვს იმ მენშევიკთათვის, რომელნიც ნ. ჟორდანიას წერილებით და ზეპირ სიტყვების მიმართ ყოველთვის „ამინ - ალიულუიას“ გაიძახიან. იმ სადირექტივო წერილში, რომელიც ნ. ჟორდანიამ გამოგზავნა ისეთი საკითხებია წამოყენებული, რომლებიც იმპერიალისტური ბურჟუაზიის წისქვილზე შეგნებულად ასხამს წყალს და საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ აღმართულ საშიშროების წინაშე აქტიურ კონტრ-რევოლიუციონურ ძალათ აქცევს ქართველ ემიგრაციას მათ წარმომადგენლობითურთ საქართველოში. ამიტომ, აქვს თუ არა უფლება საქართველოს მშრომელთა საზოგადოებრიობას, ზედამხედველობის წესით შეაფასოს ნ. ჟორდანიას რჩევა - დარიგებანი, როგორც კვლავ უმაგალითო ავანტიურის სამზადისი და მით წყევლა - კრულვით მოიხსენიოს ის?..

ამ ბელადის ძველი ლოღიკით. საქართველოს მშრომელთა მასებს უფლება უნდა მივსცეთ მისი პირდაპირი განმკითხავი იქნეს და როდესაც აქ დარჩენილი საზოგადოებამ თავის განკითხვაში ზურგი უჩვენა ნ. ჟორდანიას პოლიტიკას, რა იყო აქ ისტორიულად მოულოდნელი. სწორედ მენშევიზმის დაცემამ, მისმა ინტერნაციონალურმა უსინიდისობამ და იმ კონტრ - რევოლიუციონურმა როლმა, რომელსაც ქართველი მენშევიზმი მსოფლიო მენშევიზმთან თამაშობს საბჭოთა კავშირის წინაშე წამოჭრილ სამხედრო საფრთხის საკითხში, საქართველოს მენშევიზმის ოქროპირის სახელთან ერთად სახელი გაუტეხა მთელ პარტიას და მით თვალი აუხილა ახალი გზისაკენ ყველა იმას, ვინც კიდევ დარწმუნებული იყო მენშევიზმის სისწორეში.

ნ. ჟორდანია მეტის მქონე იყო და ამიტომ მას მეტიც მოეთხოვებოდა იმ მასისაგან, რომლის ხელმძღვანელობას ის ისტორიულ წარსულში ჩემულობდა. სრულებით არ არის გასაკვირი, რომ სინამდვილეზე თვალახილულმა მუშამ და გლეხმა უფრო მკაცრათ მოეპყროს ნ. ჟორდანიას სწორედ იმიტომ, რომ „მას ყველა იცნობს, მისი სახელი ყველას გაუგონია, მისი მოღვაწეობა ყველას აინტერესებს“ და ამიტომ მისი შეცდომა მრავალთათვის უბედურება არის.

მისმა შეცდომებმა სწორედ აალაპარაკა მშრომელთა საზოგადოებრივი აზრი და სასტიკი ბრძოლა გამოუცხადა ნ. ჟორდანიას პოლიტიკას.

საქართველოს ხალხს არ დაავიწყდება 1924 წლის აგვისტოს ავანტიურის ავტორები და მით უმეტეს მკაცრად მოეპყრობა იმ ნ. ჟორდანიას, რომელიც 1927 წელში ახალ ინსტრუქციებს გზავნის ახალი აგვისტოს სამზადისისათვის.

იმ მასებმა, რომლებიც მენშევიკურ პარტიას მიყვებოდნენ, მის ყოფილ ბელადების საქმიანობის საზოგადოებრივ კონტროლის შედეგად მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ ძველი გზა დამღუპველია, რომ საჭიროა იმ მტკიცე ახალი გზის ძიება, რომელიც მშრომელთა კეთილდღეობას უზრუნველჰყოფს. მათ იპოვეს ეს გზა, გზა კომუნისტურ პარტიის და ჩაგრულთა განთავისუფლებისა. ამ მასამ თავის მეთაურებში ვერ ნახა ისტორიულად ზნეობრივ-პოლიტიკური სიწმინდე, პირიქით მოწამე შეიქმნა იმ ბეცი პოლიტიკის, რომელიც დაღუპვისაკენ მიაქანებდა ჩვენ ქვეყანას. უარჰყო ამ პოლიტიკის გზა და დაადგა ინტერნაციონალურ სოლიდარობის იმ პოლიტიკას, რომელიც საქართველოს მშრომელთა ბრძოლაში, საკაცობრიო სოციალურ ბრძოლის საწყისებს შემოიტანდა.

მასები წავიდნენ, დარჩენ უჯარო გენერლები და მათი რომანტიკა სრულიად ბუნებრივი მოვლენა არის.

ნ. ჟორდანია საზოგადო მოღვაწე იყო და თავის თავს 27 წლის წინეთ განსაზღვრულ ვალდებულებებს უწესებდა. როგორც სჩანს, მისთვის დაეცა ეს სწორი შეხედულება საზოგადო მოღვაწეზე და მისივე სიტყვებით რომ ვსთქვათ: „ახლა დრო არის, ის ხელახლა აღდგენილი იქნეს და მოღვაწეობის ლამპრათ წამოყენებული!..“ (იქვე გვ. 426). ამას კი სჭირია ძველი გზების მოშლა და ახალი გზებისაკენ მიხედვა.

არავითარი იმედი არ არის, რომ ნ. ჟორდანია, ნ. რამიშვილი და სხვ. „ბელადები“ ამ ახალი გზით წავლენ. მაგრამ ამ გზით წავიდნენ ის საზოგადო მოღვაწეები, რომლებიც სათანადო ყურადღებით ეპყრობიან საზოგადოების საკონტროლო ფუნქციებს ამა თუ იმ მოღვაწის მიმართ.

ემიგრანტები თავისი გზით მიდიან, მასების მიერ არჩეულ გზას არ სცნობენ და პირიქით ამ მასების სულმოკლეობით ხსნიან ახალი გზით სიარულს; მიდიან იმ პრინციპების წინააღმდეგ, რომელთა საფუძველზე ეს მასა იზრდებოდა. და ეს არც ისე გასაკვირია, თუ გავიხსენებთ ნ. ჟორდანიას შემდეგ სიტყვებს: „ცხადია, პარტია პრინციპის დარღვევას უფრო მსუბუქად უყურებს, ვინემ ზნეობის დარღვევას“ („რჩეული ნაწერები“ გვ. 424).

სწორედ იმიტომ, რომ ნ. ჟორდანიას ხელმძღვანელობით მენშევიკურმა პარტიამ მსუბუქად შეხედა პრინციპების დარღვევას, ჩამოშორდა მას ყველა ის, ვისთვისაც მშრომელთა განთავისუფლებისათვის ბრძოლა სამოქმედო დღის წესრიგის ურყევ პრინციპს წარმოადგენდა.

იქ პესიმიზმი, აქ ოპტიმიზმი; იქ უიმედობა, აქ მომავლისათვის მეთოდიური მუშაობა — ასეთია ძველისა და ახალი გზის ურთიერთშორის მიმართება.

**ზ. ჩახვაძე.**

# ერთი პოლემიკის გამო

„ახალი გზის“ 38 ნომერში დაიბეჭდა სოც.-დემოკრატიული პარტიის ძველი წევრის დასავლეთ საქართველოს მშრომელთა მასებში კარგად ცნობილი ამხ. კოლია ჯანელიძის წერილი: „პასუხი რუბენს“. ამხ. ჯანელიძე ეკამათება სოც.-დემ. პარტიის მეორე თვალსაჩინო წევრს რუბენს, რომელიც დღეს ემიგრაციაში იმყოფება და ჩვენი ბარიკადის მეორე მხარეზე სდგას.

ორი ყოფილი ამხანაგებს შორის წარმოებული კამათი მრავალი მხრით არის საინტერესო. ამ კამათიდან სავსებით ირკვევა ერთის მხრით, სუსტი, იდეოლოგიურად დაუსაბუთებელი და ლოღიკურ მთლიანობას მოკლებული დასკვნები, რომელსაც აკეთებს თავის განცხადებაში ჩვენი ყოფილი ამხ. რუბენი.

რას გვეუბნება იგი? „ჟორდანია-რამიშვილი თუ არ ვარგა, პარტია რა შუაშია? სოც.-დემოკრატიის შეხედულება ხომ საერთო ხასიათისაა?..

აქედან ჩვენ ერთხელ კიდევ ვტყობილობთ, რომ მოქ. რუბენს არ მოსწონს დიდი და პატარა ნოები, ესე იგი არ მოსწონს ემიგრანტი მენშევიკების ლიდერები, მაგრამ ის ვერ შორდება საერთოთ მენშევიკურ მსოფლმხედველობას, მის იდეოლოგიურ სისტემას. მის პრაქტიკულ-პოლიტიკურ საქმიანობას და შიშს გამოსთქვამს: „ვაი თუ ჟორდანია-რამიშვილის სადირექტივო წერილებმა, ვ. ქარცივაძის ხელით მოტანილმა საქართველოში სამსახური გაუწიოს ბოლშევიკებს და ჩვენი ამხანაგები კომუნისტურ რიგებში ბლომათ შერეკოს“-ო.

რასაკვირველია, სადირექტივო წერილებმა და ქართველი ემიგრაციის სხვა ასეთმა ნაკაზებმა ხელი შეუწყვეს მენშევიკურ მასსების გამოფხიზლების და სწორ გზაზე დადგომის საქმეს. დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ მენეშვიკური პარტიის უდიდესი კატასტროფა, მისი ელვის-სისწრაფით დაშლა, მისი მორალური და პოლიტიკური განადგურება არ მოხდებოდა ასეთი სისწრაფით, რომ მისთვის ხელი არ შეეწყო ჟორდანია-რამიშვილის პოლიტიკას. საქართველოს სოც.-დემოკრატიულმა პარტიამ, რომელსაც თავის ისტორიის მსვლელობის გასულ პერიოდებში ჰქონდა რევოლიუციონური ტრადიცია, რევოლიუციონური საქმიანობა, მხოლოდ ამ ნიადაგზე შესძლო მშრომელი მასების აღზრდა და დარაზმვა. საქართველოს სოც.-დემოკრატიამ, რომელმაც თავის მოღვაწეობის ამ პერიოდში შესძლო მუშათა კლასის ერთ ნაწილში ფართო ავტორიტეტი და სიმპატია დაემსახურებია. ეს იყო პერიოდი დემოკრატიული პარტიების რევოლიუციონერობისა და ქართული მენშევიზმი, როგორც წვრილი ბურჟუაზიის პირმშო შვილი, მისი იდეოლოგი და მებარაღტრე, რევოლიუციონურ ტენდენციას ცხოვრებაში ჯეროვანი ენერგიით ატარებდა.

ეს პერიოდი განვლილ ისტორიის გზაზე ხასიათდება ისეთი სოციალ-ეკონომიური წყობილებით, რომელსაც ქვია ნახევრად ფეოდალური, ნახევრად ბურჟუაზიული, საზოგადოებრივი წყობილება, ანუ რუსეთის ცარიზმი. ცარიზმთან ბრძოლაში ლიბერალური ბურჟუაც

ცი ოპოზიციონერობდა. ქართული მენშევიკური პარტია აქ უაღრესათ რევოლიუციონურ ორგანიზაციას წარმოადგენდა, ვიმეორებთ: როგორც წვრილი ბურჟუაზიის პოლიტიკური ხელმძღვანელი ორგანო. წვრილ ბურჟუაზიას აქვს სოციალურ-პოლიტიკურ-პსიხოლოგიური ნათესაობა პროლეტარიატთან, მით უმეტეს ეს ნათესაობა საგრძნობელი იყო ჩვენში ცარიზმის დროს. ხალხის აბსოლიუტური უმრავლესობა , მთელი დემოკრატია რუსეთში ებრძოდა ხალხის უმნიშვნელო უმცირესობის, ეგრედწოდებულ' ფეოდალურ და მილიტარისტულ კლასს და მის ბიუროკრატია-არისტოკრატიას. ამ ბრძოლაში დემოკრატია ერთ ფრონტზე იდგა— არისტოკრატია, მეორეზე. აქ საერთო მტერს— არისტოკრატიას ყველა ებრძოდა. ბურჟუაზიული წრეები, ოპოზიციონურ მეთოდებით იბრძოდა.

წვრილი ბურჟუაზიული ჯგუფები— რევოლიუციონურ მეთოდებით. პროლეტარიატი, დემოკრატიული მოძრაობის ავანგარდი თვის პროგრამას ორ ნაწილათ ყოფდა: მინიმუმათ და მაქსიმუმათ. სოციალ-დემოკრატია მაშინ მთლიანი პარტია იყო. მხოლოდ ორ ფრაქციებათ უკვე ჩამოყალიბებული. დემოკრატიულ რესპუბლიკის ნიადაგზე რევოლიუციონურათ თანამშრომლობდენ ყველა მაშინდელი პარტიები და აი, სწორედ ამ ისტორიულ ეპოქაში არსებობდა დემოკრატიის ერთი მთლიანი ფრონტი.

მაშინ მათ აერთიანებდა საერთო მტერი, საერთო უბედურება, რომელიც მაჯლაჯუნასავით აწვა ყველას თავზე და გასაქანს არ აძლევდა. მთელი დემოკრატია ამ დროს ერთ წერტილში სცემდა, ერთ მტერს ებრძოდა. ეს მტერი იყო ფეოდალური და მილიტარისტული ოლიგარხია, რომელიც შეადგენდა ცარიზმის დასაყრდნობ საფუძველს.

ეს ერთ წერტილში ცემა, ერთ მტერთან ბრძოლა სხვა და სხვა ძალის, სხვა და სხვა თვისების და ენერგიის იყო. პროლეტარიატი და გლეხკაცობა მაგრათ ურტყამდა ამ წერტილში, ის ანადგურებდა ცარიზმსა და ყველა მის საფუძვლებს. სხვა ჯგუფების ბრძოლა კი ზერელე და უენერგიო იყო:. ქართველი სოც.-დემოკრატიის ამ პერიოდის ბრძოლა, უაღრესად რევოლიუციონური იყო. და სწორედ ამ პერიოდში მან ჩვენ მშრომელ მასსებში დაიმსახურა ნდობა და სიმპატია. მარცხდება ცარიზმი და ყველა მისი დასაყრდნობი ძალები. აქ კი პროლეტარიატი წინ უსწრობს ყველა სხვა მებრძოლ კლასებს. სოც.-დემოკრატია მენშევიზმს სახით სამუდამოდ ეთიშება პროლეტარიატს; ის ვერ შორდება დემოკრატიულ რესპუბლიკას და პროგრამა მინიმუმს აღარ ცილდება.

ბოლშევიზმი, მემარცხენე ფრთა, სოც.-დემოკრატიული პარტიისა, კომუნიზმის დროშის ქვეშ მოუწოდებს მშრომელთა მასებს.

პროლეტარიატი და გლეხკაცობა მას მისდევს, მის იდეურ გეგემონიას ემორჩილება, მის იდეურ გავლენას განიცდის. ჩვენში, საქართველოში, მასების გაბოლშევიკების პროცესი იფრო ნელის ნაბიჯით ხდება.. ამის მიზეზი იყო როგორც სუბექტიური, ისე ობიექტიური პირობები. მაგრამ ისტორიული პროცესის დროებით შეჩერება, კიდევ არ ნიშნავს სავსებით ამ მოძრაობის შეჩერებას, მის სავსებით ლიკვიდაციას. და აი, ჩვენშიც მყარდება საბჭოთა სისტემა.

საქართველოში მშრომელი მასსების ერთი ნაწილი, მენშევიზმის იდეურ გავლენის ქვეშ მყოფი, მტრულად ხვდება ამ ახალი ცხოვრების დასაწყისს. ის ებრძვის მუშების და გლეხების ხელისუფლებას და ამ ბრძოლას ის აწარმოებს დემოკრატიზმისა და სოციალიზმის სახელით. 1924 წლის აგვისტოში ეს ბრძოლა უმაღლეს წერტილს აღწევს. მაგრამ იმავე აგვისტომ ყველას დაანახა, რომ ბრძოლა წაგებულია. და ეს მარტო იმიტომ კი არა, რომ ეს მოძრაობა ფიზიკურად დამარცხდა. რასაკვირველია, ყველა აჯანყება გამარჯვებით არ დათავდება. 1905 წელს რუსეთის პროლეტარიატი დამარცხდა. ცარიზმმა შესძლო მოსკოვისა და პეტროგრადის აჯანყების ჩაქრობა. მაგრამ ამით რევოლიუციონური სული და აღტყინება პროლეტარულ მასებში ერთი-ათად და ასათ გაიზარდა.

რატომ ვერ დაამარცხა ცარიზმმა რუსეთის რევოლიუციონური სული ფიზიკურათ დამარცხებასთან ერთად? იმიტომ, რომ ისტორიული განვითარების ტენდენცია, ეკონომიკის და მატერიალურ-სულიერ, კულტურის განვითარება და მსვლელობა საფუძვლად ედო იმ დემოკრატიულ და სოციალისტურ მოძრაობას, რომელმაც სამოქალაქო ომი გამოუცხადა ცარიზმს. ან უნდა გაემარჯვებია სოციალურ-დემოკრატიის მოძრაობას, და, მაშასადამე, დაემხო ფეოდალებისა და ბურჟუაზიის პოლიტიკური ბატონობა, ან ჩამკვდარიყო ეს მოძრაობა, გაყინულიყო ჩვენი კულტურა და პროგრესი ერთ წერტილზე, და საზოგადოება გადაშენების გზით მოსპობილიყო. და სწორედ ისტორიისა, ეკონომიკისა და კულტურის ამ ძალებმა მიანიჭეს გამარჯვება რევოლიუციონურ პროლეტარიატს; ეს ასე იყო მან ჟამსა შინა. მაგრამ სულ სხვაა დღეს, როდესაც საქართველოს მენშევიზმი და საერთოდ მსოფლიოს სოციალ-დემოკრატია ებრძვის არა რეაქციონულ და კონსერვატიულ ძალებს, არა ფეოდალურ ნაშთებს, არამედ მუშათა და გლეხთა ხელისუფლებას. დღეს მსოფლიო მენშევიზმი, მსოფლიო იმპერიალიზმთან ერთად გამოდის მუშათა და გლეხთა ხელისუფლების წინააღმდეგ. მენშევიზმი ებრძვის საბჭოთა წყობილებას, ესე იგი იმ ერთად-ერთ ძალას, რომელიც მიდის სოციალიზმისაკენ, რომელმაც უნდა დაამყაროს შრომის ბატონობა მთელ მსოფლიოში.

რა პოზიციას იცავს ის კომუნიზმთან ბრძოლაში? დემოკრატიას და სოციალიზმს? მაგრამ, რომელ დემოკრატიას? მუშების და გლეხების დემოკრატია დღეს სავსებით თვისთება საბჭოთა სისტემის ფარგლებში; მშრომელთა ეს მასები ამ სისტემაში ანვითარებენ თავის კოლექტიურ ნება-სურვილებს, ამ სისტემაში დარაზმული ქმნიან თავის საკუთარ კონსტიტუციას, და მართავენ თავის საკუთარ სახელმწიფოს. აქედან აშკარაა, რომ კომუნიზმი სდგას ჭეშმარიტ დემოკრატიის ნიადაგზე. მენშევიკები კი ყალბ ნიადაგზე დგანან. დღეს ამას გრძნობენ თვით ბურჟუაზიის იდეოლოგებიც.

მენშევიკები მიდიან კაპიტალისტური საზოგადოების რეფორმის გზით გარდაქმნისაკენ. მაგრამ ასეთ რეფორმებს, რომელიც უნდა ჩატარდეს რამოდენიმე საუკუნის მანძილზე, სიტყვით მაინც თვით ლიბერალური ბურჟუაზიაც იცავს. მაშ, რა განსხვავებაა მენშევიკებსა და, თუ გნებავთ, ლიოდ-ჯორჯს შორის? არსებითათ არავითარი. და სწორედ ამიტომ მენშევიზმი, როგორც დამცველი თანამედროვე კაპიტალისტური მეურნეობის, მისი ეკონომიკის და პოლიტიკის, კონსერვატიული ძალაა, მხოლოდ სოციალისტურ მანტიაში გამოწყობილი. ამიტომ, მოქ. რუბენს ჩვენ ვუპასუხებთ:—ნ. ჟორდანია და ნ. რამიშვილი პირველ ყოვლისა, მიუღებელი არიან მათი ყოფილი ამხანაგებისთვის, როგორც მებრძოლი მენშევიზმის წარმომადგენლები, ამავე დროს, ისინი მიუღებელი არიან, როგორც მენშევიკური პარტიის იდეოლოგიის წარმომადგენლები. და ამიტომ, ის სადირექტივო წერილები, რომლებითაც ისინი საქართველოს „აშენებას“ უპირებდენ, დიდ სამსახურს უწევს მათ ყოფილ ამხანაგებს აზროვნების და იდეოლოგიის გადაფასების საქმეში. თავისთავათ კი ეს „დირექტივები“ პროვოკაციაა ჩვენი ხალხისთვის. რომ ეს აგრეა, ამას დღეს, ალბათ, თვითონ მოქ. რუბენიც ჩინებულად გრძნობს, მაგრამ ამ პროვოკაციას ერთი დადებითი მხარეც აქვს: ეს არის მენშევიკური პარტიის იდეურ-თეორეტიული და პრაქტიკული გადაფასების პროცესის ჩქარის ნაბიჯით წარმართვა.

**ალ. ხელაძე.**

# ვინ არის ახალგზელი?

იშვიათია ისტორიაში ისეთი დამარცხება პოლიტიკური და პარტიული, როგორც ეს წილად ხვდა საქართ. მენშევ. პარტიას. მძლავრი და მუდამ გამარჯვებული, მოწინააღმდეგე პოლიტიკურ პარტიებთა შორის მენშევ. პარტია დამარცხდა ოქტომბრის რევოილუციის სინამდვილეში. ოქტომბრის რევოლიუციამ დაამარცხა საკავშირო რესპუბლიკის მასშტაბით ყველა მოწინააღმდეგე პოლიტიკური პარტიები; მენშევიკები, ესერები, კადეტები და სხვა.

პროლეტარიატის ჰეგემონიის მოწინააღმდეგე პარტიის გამარჯვება ან დამარცხება გასაგებია, ის მომენტის და ძალთა განწყობილების საქმეა. მაგრამ მარქსისტული მსოფლმხედველობის მატარებელი ორი ფრთის სამკვდრო სასიცოცხლო შეჯახება მეტად დამაფიქრებელი და ისტორიულია.

ოქტომბრის რევოლიუციამდე ჩვენ მარქსისტები ბოლშევიკ - მენშევიკები ასე ვაზროვნებდით, რომ მთავარი და ძირეული კითხვები ჩვენ გვაერთებს, როგორც მარქსისტებს. მაგრამ განსხვავება პარტიას შიგნით არის და ეს განსხვავება ტაქტიკური და ორგანიზაციული ხასიათის არისო. ამ მოსაზრებების იყო მენშევიკების ბელადი ნ. ჟორდანია წინედ, როდესაც სახელმწიფო დუმაში ფრაქციული განხეთქილების გამო ბურჟუაზიული პრესა აყაყანდა და მათ სიხარულს საზღვარი არ ქონდა. ნ. ჟორდანიამ პრესაში, ბურჟუაზიული სიხარულს ნაადრევი უწოდა. ამის შესახებ ის სწერდა:

„ჩვენსა და ბოლშევიკებს შორის პრინციპიალური განსხვავება არ არის, ბოლშევიკების ორგანიზაციული წყობა და ჩვენი ტაქტიკა ერთი მეორეს დამატება არის, მეტი არაფერიო“.

რომ ეს ასე იყო ამის უარყოფა შეუძლებელია. ამას ადასტურებს 1903 წლის პარტიული ყრილობის ანგარიშები ლონდონში. ჩვენი დროშა იყო საერთო, დროშა წარწერით: „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით“. ძირს ბურჟუაზია, გაუმარჯოს სოციალიზმს. ამ დროშის ქვეშ ამ ლოზუნგებით ათეული წლით აღიზარდა საკავშირო რესპუბლიკების მებრძოლი პროლეტარიატი და შეითვისა ის.

1917 წ. თებერვლის რევოლიუციამ დროებითი მთავრობის სახით მოგვცა კოალიციონური მთავრობა, რომელშიც შედიოდენ ბურჟუაზიული და რეაქციონური პარტიის წარმომადგენლები: ოქტომბრისტები, კადეტები, ესერები და მენშევიკები.

ბოლშევიკებმა ბრძოლა გამოუცხადეს დროებითი მთავრობას. ამ ბრძოლაში დროებითი მთავრობა დამარცხდა სასტიკათ. მუშათა კლასმა ბოლშევიკების მეთაურობით ძალა - უფლება ხელში აიღო. ამ ისტორიულ მოვლენას ოქტომბრის რევოლიუციის მოწინააღმდეგენი ბოლშევიკების დემაგოგიას აწერდენ. დემაგოგიის საშუალებით ხალხი შეცდომაში შეიყვანესო. სულ ცოტა დრო არის საჭირო, რომ ბოლშევიკური ხელისუფლება სცენიდან გაქრენო... მაგრამ მტრების სამწუხაროდ სრულდება ათი მათთვის „მწარედ მწველი“ წელი.

რევოლიუციონური მომენტის დაფასების დროს შეცდომები მოსალოდნელია და პარტიის მეთაურებს კიდევ მიეტევება, თუ მომენტს ალღო ვერ აუღო და მოვლენა სისწორით ვერ დააფასა, მაგრამ მიუტევებელია სოციალისტებისთვის, როდესაც პროლეტარულ რევოლიუციის ბუნებრივ განვითარებას ბრძოლას უცხადებ და ხელოვნურად სურს მისი წინსვლელობის შეჩერება. ასეთ პიროვნებში ნურას უკაცრავად, თუ ისტორიამ კონტრ - რევოლიუციონური იარლიკი მიაკრას შუბლზე გინდ ცნობილ სოციალისტს და რევოლიუციონერს თავის წარსულით.

ყოველ პოლიტიკურ პარტიას რა თქმა უნდა აქვს თავისი საბოლოო მიზნები, მაგრამ სანამ სავსებით მიაღწევდეს მიზანს, პარტიას აქვს შემუშავებული თავისი საკუთარი პროგრამა, სოციალური და პოლიტიკური. ოქტომბრის რევოლიუციამ მოწინააღმდეგე პარტიებს ფეხქვეშ გამოაცალა ნიადაგი. ბოლშევიკების ქაღალდზე დაწერილი პროგრამა მაქსიმუმი ფაქტად იქცა. ის ღრმათ შეიჭრა სოციალისტური აღმშენებლობის პრაქტიკულ მუშაობაში. ამიტომ არის, რომ მენშევიკური პარტიის ბელადები დანი, აბრამოვიჩი, წერეთელი და სხვებმა ფორმალურად ბრძოლაზე აიღეს ხელი. ისინი ამბობენ: „ჩვენ აჯანყების გზით ხელისუფლების დაცემა არ გვსურსო“. ისინი სეირის მაყურებელთა როლში გამოდიან, რაკი სათქმელი არა აქვთ და არც საბრძოლველი იარაღი გააჩნიათ.

ამ შემთხვევაში გამონაკლის წარმოადგენს საქ. მენშევიკ. ემიგრაციის ნაწილი მებრძოლ მენშევიზმის ბელადები ნ. ჟორდანია და ნ. რამიშვილი, რომლებიც სოციალურ და პოლიტიკურ პროგრამის ირგვლივ სდუმან, მაგრამ ბრძოლაზე ხელს არ იღებენ მაინც. მათი საბრძოლველი იარაღი, მხოლოდ საქართველოს ფარგლებს არ სცილდება. ისინი მხოლოდ საქართველოს შესახებ ხმაურობენ,ამ წმინდა ნაციონალურ ფრონტზე სცდილობენ მოწინააღმდეგის დამარცხებას. რამდენათ ბრძოლა ცილდება სოციალურ ბანაკს და თავს იყრის ნაციონალურ ფარგლებში, იმდენათ მენშევიკური პარტიის მთლიანობა ირღვევა თავისი ბუნებრივ სოციალური კანონების მიხედვით. არ არის მართალი ის აზრი, ვითომ ნ. რამიშვილის „ურა“ ტაქტიკამ დაანგრია მენშევიკური პარტიის რიგებიო. პარტიის რღვევა დაიწყო ჯერ კიდევ 1924 წლის აგვისტომდე. მოიგონეთ 1923 წელი თორმეტი ათასი მუშების გასვლა პარტიიდან, მართალია 1924 წელს აგვისტომ კატასტროფიულ მდგომარეობაში ჩააგდო და სწრაფად დააჩქარა მისი რღვევა.

ახალგზელთა საქმიანობის ირგვლივ სხვადასხვა აზრის არიან. ერთნი ამბობენ: „ძალა აღმართსა ხნავს, დააშინეს,სხვა გზა არ ქონდათო“.მეორენი უმატებენ: „ჭკვიანათ მოიქცენ, აჯანყების დამარცხების შემდეგ სხვა გამოსავალი არ იყოვო“. „მებრძოლი“ მენშევიზმის ავტორები ახალგზელებს მოყიდულებს და მხთალებს უწოდებს.

ჩვენის ღრმა რწმენით არც ერთი მოსაზრება არ არის სინამდვილესთან ახლოს. ფაქტი ის არის, რომ საბრძოლველი იარაღები არ გააჩნიათ, ის პროგრამამ, რომლის განსახორციელებლად პარტია და პარტიის წევრები იბრძოდეს, ცხოვრებაში უკვე განხორციელდა და ხორციელდება. ამ გარემოებამ ყველაზე უფრო გამოაცალა ფეხქვეშ ნიადაგი მენშევიზმს, თავის საკუთარ წინააღმდეგობათ გარდააქცია იგი.

ეს იყო უდიდესი მიზეზი იმისა, რომ მენშევიკების პარტია დაიღუპა და მისი უფრო სასიცოცხლო ელემენტები სრულის შეგნებით შეუერთდენ ნამდვილ სოციალისტურსა და რევოლიუციონურ კომუნისტურ პარტიას.

ჩვენ, ახალგზელებმა ეს მოვლენა ასე უნდა გავიგოთ: ის არ არის ახალგზელი, ვინც ჩვენს საქმიანობას უკავშირებს მეშჩანურ ჭკუის საკითხს და მომენტის შესაფერ ტაქტიკათ ასაღებს. ახალგზელია ის, ვისაც ოქტომბრის რევოლიუციასთან პრინციპიალური კავშირი აქვს. მისი გამარჯვება საკუთარ გამარჯვებათ მიაჩნია, ოქტომბრის რევოლიუციის დამარცხებას საკუთარ დამარცხებათ სახავს. ოქტომბრის რევოლიუციის სადარაჯოზე იარაღით ხელში დგას.

ბარნაბა ძველაია.

# რა სურს ემიგრაციას

4

## ერთიანი ფრონტი

ერთიან ფრონტის სისტემა არა ახლია—ძველია. 1914 წლიდან კოალიციის, ერთიანი ფრონტის პრინციპი მეორე ინტერნაციონალის ოფიციალურ სიმბოლოდ გადაიქცა.

მართალია, პირველი რევოლიუციის პერიოდში ნ. ჟორდანია ამტკიცებდა: გინდათ თუ არ გინდათ რევოლიუციის შემდეგ ხელისუფლება ბურჟუაზიას უნდა ჩავაბაროთო.

„საზოგადოება სწორედ ბურჟუაზიის ბატონობისათვის არის მოწყობილი“! „მთელი ატმოსფერა გაჟღენთილია ბურჟუაზიული სულითო“.

ამბობდა ის და მოითხოვდა ერთფეროვან ბურჟუაზიულ მთავრობას, მაგრამ ჯერ ომმა და შემდეგ რევოლიუციამ ეს სქემა ერთიანად გაუქარწყლოა მას, ბურჟუაზიასთან ხელისუფლების განაწილების რეპეტიცია, რომელიც 1914 წლის შემდეგ თითქმის მთელს ევროპაში სოციალისტებმა მოახდინეს, ჟორდანიასაც ძლიერ მოეწონა. ყოველ შემთხვევაში ერთფეროვანი მთავრობის შედგენის ფორმულა მან უკვე მიატოვა და მალე სამფეროვანი დრო შითა და ოთხფეროვანი მთავრობით მოგვევლინა:

მენშევიკები, ფედერალისტები, ეროვნული დემოკრატები და ესერები.

იყო მომენტი, როცა ნ. ჟორდანია რუსეთისთვის ერთფეროვან რევოლიუციონურ მთავრობას მოითხოვდა, მაგრამ ეს იყო მოკლე ხნით. ოქტომბრის რევოლიუციის შემდეგ მან ისევ წამოაყენა მრავალფეროვანი კოალიციის პრინციპი. ამ ნიადაგზე იყო შედგენილი ამიერ-კავკასიის მთავრობები და საქართველოს პირველი მთავრობაც. საქართველოს სოციალ - დემოკატიამ მალე ისევ უღალატა ამ პინციპს და საქართველოს დამფუძნებელი კრების მოწვევის შემდეგ შეადგინა წმინდა პარტიული ერთფეროვანი მთავრობა.

1922 წელს ქართველ მენშევიკებმა ერთიანი ფრონტის პრინციპი ისევ წამოაყენეს.

ამრიგად, ერთიანი ფრონტის პრინციპი წამოყენებული 1918 წელს, უარყოფილ იქნა 19—21 წლებში, ხოლო 1922 წელს ისევ წამოყენებულ იქნა. რად ხდებოდა ასე, რა იყო ამ წაჯექ უკუჯექობის მიზეზი? საქმე ის არის, რომ მენშევიკები აყენებდენ ერთიანი ფრონტის ლოზუნგს, მხოლოდ მაშინ, როცა **გაუჭირდებოდათ. ხოლო, როცა ისინი თავს არხეინად გრძნობდენ, აყენებდენ ერთფეროვან მთავრობის პრინციპს, ე. ი. უარყოფდენ ერთიან ფრონტს...**

1918 წელს მდგომარეობა ძლიერ აწეწილი იყო, არავინ იცოდა, თუ რას მოიტანდა ხვალინდელი დღე. მენშევიკებიც ამ ხანებში იცავენ ერთიან ფრონტს, დგება მენშევიკების, დაშნაკელებისა, მუსავატელებისა და ნაციონალ - დემოკრატების ბლოკი.

1919—20 საქართველოს მდგომარეობა რამდენიმედ განმტკიცდა, მენშევიკებიც ერთფეროვან მთავრობას ადგენენ, არავისთან არავითარი შეთანხმება და ერთიანი ფრონტი არ უნდათ.

1921 წელი მენშევიკებისათვის კატასტროფიული იყო. ქვეყანამ ისინი წყეულა კრულვით გააცილა და აი, ჩვენც ვხედავთ, რომ ისინი 1922 წლიდან ცდილობენ თავის ორბიტაში ჩაითრიონ ყველა პარტიები, ხოლო ვინც მათ არ ეთანხმება, აცხადებენ ერის მოღალატეებად.

ამ ცდას მოჰყვა, როგორც ვიცით, პარიტეტული კომიტეტის დაარსება. მასში შემავალ პარტიებს დიდი ბრძოლა დასჭირდათ, რომ მენშევიკები დათანხმებულიყვნენ პარტიათა თანასწორ წარმომადგენლობაზე.

თუ როგორ აფასებდენ მენშევიკები ამ ერთიან ფრონტს მოწმობს შემდეგი ფაქტები.

როგორც ვიცით, ამიერ-კავკასიის კომისარიატი აგებული იყო კოალიციონურ პრინციპზე. მასში შედიოდენ ყველა პარტიების წარმომადგენელნი. სხვათა შორის ამ კომისარიატში სამხედრო კომისრის თანამდებობა ეჭირა ცნობილ ესერს ვლ. გობეჩიას.

როცა ამიერ-კავკასიის რესპუბლიკა გამოცხადდა და ახალი მთავრობა შესდგა, ვლ. გობეჩია არ მოხდა მთავრობაში და იცით რა დასწერა ამის შესახებ მენშევიკურმა „ბარბამ“?

ახალი მთავრობის შედგენის გამო დაწერილ მოწინავეში გაზ. „ბარბა“ სიტყვა-სიტყვით სწერდა: „ახალი მთავრობის უპირატესობა ის არის, რომ მასში ვლ. გობეჩია არ შედის“-ო.

დემოკრატიულ საქართველოს პირველ მთავრობაში შედიოდა ცნობილი ქართველი მოღვაწე გ. ლასხიშვილი, რომელსაც ეჭირა განათლების მინისტრის პოსტი.

შემდეგ, როგორც ვიცით, ნ. რამიშვილმა მოახდინა სამინისტროების კონცენტრაცია (ერთსა და იმავე დროს სამი—თუ ოთხი პორტფელი ეჭირა), სხვათა შორის, ერთს დროს მას ებარა განათლების სამინისტროც. ერთს მშვენიერ დღეს ის გამოდის დამფუძნებელ კრებაში და აცხადებს: განათლების სამინისტროში ჩემი წინამოადგილის დროს არაფერი გაკეთებულა, ყველაფერი აირ-დაირია.

ასეთივე ამბავი განმეორდა 1924 წლის აჯანყების შემდეგ. პარიტეტულმა კომიტეტმა, რომელსაც მენშევიკები ხელმძღვანელობდენ, აჯანყება მოახდინა. ნ. ჟორდანია იმ წამსვე ნოტების წერას შეუდგა, აჯანყებას იცავდა, თეთრ ცხენს კაზმავდა, მარა აჯანყება დამარცხდა ნ. ჟორდანიამ მყისვე პირი იბრუნა და გამოაცხადა: ჩვენ კი არ დავმარცხდით, ნაციონალ-დემოკრატები დამარცხდენ, პარიტეტულ კომიტეტს მათი ტაქტიკა შეუთვისებიაო.

საიდან სადაო, წმინდა საბაო!

ვინ არ იცის, რომ მარტო ნაციონალ-დემოკრატებს აჯანყება არ მოუწყვიათ და ვერც მოაწყობდენ. პირველ „სკრიპკას“ ამ საქმეში მენშევიკები თამაშობდენ, მაგრამ ნ. ჟორდანია მაინც გაიძახის: ჩვენ რა შუაში ვართ, აჯანყება ნაციონალ - დემოკრატების მეოხებით დამარცხდაო.

ე. ი. მოვახდინოთ აჯანყება, მხოლოდ **მოგება ჩვენ და ზარალი თქვენო**—ასეთია ნ. ჟორდანიას ბუხჰალტერია.

გაზეთებში უკვე გამოქვეყნებულ სადირექტივო წერილებში ნ. ჟორდანია - რამიშვილი ჯვაროსნულ ომს უცხადებენ ერთს თავის მოკავშირეს (ნაციონალ-დემოკრატებს), ხოლო დანარჩენების შესახებ (სხიველები, ესერები) სწერენ: ესენი გაქრენ, არ არსებობენო.

ამით ნ. ჟორდანია-რამიშვილმა საშინელი ლახვარი ჩასცეს ერთიანი ფრონტის იდეას, მაგრამ იქნებ მათ არც კი უნდათ ერთიანი ფრონტი, რაკი მის წინააღმდეგ ასე სისტემატიურად მოქმედებენ?! ასეთი დასკვნა, რა თქმა უნდა, მართალი არ იქნებოდა, პირიქით ისინი ყველაზე მეტად არიან დაინტერესებული შექმნან ასეთი ფრონტი. ისინი თვითონ ქმნიან ახალ „პარტიებს“ ოღონდ ევროპას მოაჩვენონ, რომ ქვეყანა მათთან არის და ბოლშევიკების წინააღმდეგ იბრძვის.

ამ ერთიანი ფრონტის არსებობის უტყუარი ფაქტებია: კოალიციონური მთავრობის შედგენა უცხოეთში, საერთო ორგანო („დამოუკიდებელი საქართველო“) და სხვა. ამ ერთიანი ფრონტის უდიდესი დამცველი და იდეოლოგი არის ნ. ჟორდანია. ის სწერს: „ჩვენს ფრონტში დგას უძლეველი ძალები, ჩვენ გვამაგრებს აუღებელი სიმაგრენი.

საჭიროა მხოლოდ **ჩვენ, ქართველები** ვიყოთ **ერთად; საჭიროა საქართველოს ყველა შვილნი გაიმსჭვალონ იმ დიადი მოწოდებით, რომელიც მათ დღეს ისტორიამ არგუნა—ერთად დგომა, ერთად ბრძოლა, ერთი დროშა“.** („დამოუკიდებელი საქართველო“ № 1).

ამ „ერთი დროშის ქვეშ“ თავს იყრის **„ყოფილი თავადი, ყოფილი მემამულე, სასულიერო წოდება, მუშა, გლეხი, ყველა“**, ესენი გაერთიანებულია **„ერთის აზრით, ერთის მიზნით“**. (იქვე).

დაახლოებით ასეთივე დებულება წამოაყენა ამ 20—25 წლის წინედ არ. ჯორჯაძემ, რისთვისაც ის ნ. ჟორდანიამ ჯვარს აცვა. მაშინ ნ. ჟორდანიას კარგად ესმოდა, რომ

В одну телегу впрячь неможно,
Коня и трепетную лань.

მაგრამ, დრონი იცვალენ. ბურჟუაზიისაგან ნ. ჟორდანიამ, ბევრი ისწავლა, ხოლო რევოლიუციის ყველაფერი დაივიწყა, დაივიწყა, რომ **ბურჟუაზიის საქმის კეთება უბურჟუაზიოთ, თუ ბურჟუაზიასთან ერთად არსებითად ერთი და იგივეა და ჭეშმარიტი სოციალისტისათვის ორივე მიუღებელია.**

რევოლიუციისა და მშრომელი ხალხის მოსისხლე მტრებთან „ერთად დგომა“, მათთან „ერთად ბრძოლა“ იმ ხელისუფლების წინააღმდეგ, რომლის დევიზი არის „ყველაფერი ხალხისთვისო“ (იხ. ნ. ჟორდანია „ბოლშევიზმი“) არის ყოფილი სოციალისტების უმაგალითო დაცემა და იდეური - პრაქტიკული დაკნინება.

ნ. ჟორდანია-რამიშვილმა დაკარგეს ხელისუფლება, დაანგრიეს საკუთარი პარტია, მათ ჩამოეცალათ მოკავშირენი, დაკარგეს პერსპექტივები და სულიერი წონასწორობა, სხედან დღეს „ბაბილონისა წყალისა კიდეთა“ და მოგვიწოდებენ „ქართველო, ხელი ხმალს იკარო“. „ერთად ვიყოთ, ერთი დროშა ავაფრიალოთ, ერთად ვიბრძოლოთო“.

რით აიხსნება ერთიანი ფრონტის ასეთი „ერთგულება“ ნ. ჟორდანია რამიშვილის მხრით?

ნ. ჟორდანია-რამიშვილი ძველი მახსოვრობით ფიქრობენ:

ბოლშევიკები რომ საქართველოდან აიბარგონ, ჩვენ წინ არავინ დაგვიდგება, ბურთი და მოედანი ჩვენი იქნებაო.

გაუქარწყლეთ ემიგრანტ მენშევიკს ეს რწმენა და ის უმალვე კეხს შეატრიალებს და ხელს აიღებს დამოუკიდებლობაზე. ისევე მოულოდნელად, როგორც მოულოდნელად მოჰკიდა ხელი მის დაცვას. ის არც აჯანყებებით შეაწუხებს არავის და უარეს შემთხვევაში გადაბარგდება იმ ტაქტიკურ პოზიციაზე, რომელზედაც დგას საბჭოთა ხელისუფლების მიმართ რუსეთის მენშევიზმი.

საქართველოს სინამდვილე კი ფრიად დამაფიქრებელი და ულმობელია მენშევიზმისათვის. ის ჭრილობები, რომლებიც საბჭოთა სინამდვილემ მას მიაყენა, სასიკვდილოა, უცხოეთიდან შეშხაპუნება მას სიცოცხლეს ვერ დაუბრუნებს, ის რაც იყო, აღარ იქნება. მმართველი მენშევიზმის პერსპექტივა ამოწურულია და ნ. რამიშვილს თამამად შეუძლია სთქვას:

Я тот, кого никто не любит!

ნაციონალ - დემოკრატებმა ასეთ მდგომარეობას უკვე ალღო აუღეს, ისინი კარგად ხედავენ, თუ რისთვის სჭირდებათ ნ. ჟორდანია - რამიშვილს ერთიანი ფრონტი, ამიტომ აცხადებენ ისინი: **„დღეს საერთო ფრონტი დიდი ტყუილია. არ არსებობს არავითარი საერთო ფრონტიო“. (იხ. „თეთრი გიორგი“ № 7).**

ყოველივე ეს მოწმობს იმას, რომ: 1) ერთიანი ფრონტი მენშევიკებს უნდათ როგორც თავისი ბატონობის შირმა და 2) ეს ფრონტი უკვე აღარ არსებობს, როგორც რეალურ პოლიტიკურ ძალების კოალიცია.

**ლეო შენგელაია.**

# „ბრძოლის“ რედაქციას

Pro domo

III.

ჟურნალისტის კარიერა მე რეპორტიორობით არ დამიწყია. როგორც უკვე ვთქვი, მე ამ მხრით ბედმა გამიღიმა. მე არ დამჭირვებია რედაქციების კარებზე უშედეგოდ რეკვა, არც ვისიმე ხვეწნა-მუდარა და პროტექცია.

მკითხველს არ ეგონოს, რომ მე ამ გარემოებას ჩემი განსაკუთრებული ნიჭით ან სხვა რაიმე ღირსებით ვხსნიდე. სრულიადაც არა. აქ მხოლოდ უბრალო შემთხვევამ მომიწყო ხელი და საბოლოოდ გადაწყვიტა ჩემი კარიერა. უამისოდ იქნება ეს ყოვლად უმადური ხელობა არც კი გამეხადა ჩემი ცხოვრების მიზნად.

რაკი ჩემი ყოფილი ამხანაგები და დღევანდელი მტრები ამას მაიძულებენ, ნებას მივსცემ ჩემს თავს მკითხველების ყურადღება ცოტათი მაინც შევაჩერო ამ საგანზე.

პეტერბურგში ერთობ საინტერესო დროს მომიხდა ჩასვლა და დაბინავება. ეს იყო წარსულ, მე XIX საუკუნის უკანასკნელი წლები (1898 წელი), როცა რუსეთში ახალ ფეხადგმული მარქსიზმი რამოდენიმე ათეული მწერლებისა და მეცნიერების კაბინეტებიდან გამოდიოდა, ნელ-ნელა შედიოდა ქარხანა-ფაბრიკებში, იკრებდა გარს მუშათა წრეებს და ნელ-ნელა არხევდა მებრძოლ პროლეტარიატის დროშებს.

ეგრეთწოდებულ „ლეგალურ მარქსისტებს“ უფრო ადრეც ქონდათ თავისი „ლეგალური“ ორგანოები, დიდტანიანი ჟურნალები: „ნოვოე სლოვო“, და შემდეგ „ნაჩალო“ *) მარქსისტობაზე თავს დებდა აგრეთვე მ. მ. ფილიპოვის „ნაუჩნოე ობოზრენიე“.
„Научное Обозрение“.

სწორედ ამ დროს ცნობილმა ქალმა ლ. ბ. იავორსკიმ და მისმა ქმარმა თ-დმა ვ. ვ. ბარიატინსკიმ ა. ი. არაბაჟინთან ერთად განიზრახეს ყოველ დღიური რადიკალური გაზეთის გამოცემა, რომელიც, როგორც საქმის ინიციატორები ამბობდენ: „ოპოზიციაში უნდა დგომოდა პლევესა და მის მთავრობას“.

ამ დროს უკვე გამოდიოდა ერთი ყოველდღიური ლიბერალური გაზეთი: „Россия“, ცნობილი საზონოვის რედაქტორობით, რომლის უმახლობელესი თანამშრომლები იყვენ ისეთი ნიჭიერი მწერლები, როგორიც იყვენ: ვ. დოროშევიჩი და ა. ამფიტეატროვი. „როსსია“, მართლაც სარგებლობდა მკითხველის, განსაკუთრებით მოსწავლე ახალგაზრდობის სიმპატიით. და თუ ახალ გაზეთს მკითხველის მიზიდვა და საზოგადოების ყურადღების დამსახურება უნდოდა, მას რაღაც ახალი უნდა მიეცა თავისი მკითხველებისთვის. საქმის ინიციატორების აზრით, ალბათ, ასეთი „ახალი რამე“ უნდა ყოფილიყო თუ არა ნამდვილი მარქსიზმი, — რაზეც იმ დროს, უკვე ხმა-მაღლა ლაპარაკობდენ არა მარტო „ვოლნო ეკონომიჩესკოე ობშჩესტვოს“, კედლებსა და აკადემიურ დისპუტების დროს, არამედ საზოგადოების ფართო წრეებშიც,—ამ მარქსიზმის სუროგატი მაინც, ესე—იგი მომავალ გაზეთში იმ დროს ცნობილი „ლეგალური მარქსისტების“ თანამშრომლად მოწვევის სახით.

ამ მიზნით იავორსკის ქალმა არაბაჟინის დახმარებით მართლაც გამართა მოლაპარაკება იმ დროინდელ ცნობილ მარქსისტებთან: მ. ი. ტუგან — ბარანოვსკისთან, პ. ბ. სტრუვესთან და ვ. ი. ბოგუჩარსკთან, რომლე-

---

*) ამ ორი უკანასკნელი ჟურნალების გამომცემელი იყო ვიღაც მდიდარი ვაჭარიკ ქვრივი, ცოლი იმ ზუბოვიჩისა, რომელიც ბ ლოს „ოხრანკის“ აგენტი გამოდგა და 1905 წლის რევოლიუციის დროს კავკასიის ნამესტნიკის თანაშემწის პოლიციის ნაწილის გამგე შერინკინის კანცელარიის დირექტორად ბრძანდებოდა.

ბიც მოწინააღმდეგეთა წრეებში იმ დროს ცნობილი იყვენ „მარქსიზმის ეპისკოპოსებათ“, (архиерей марксизма). ეს უკანასკნელები დასთანხმდენ იმ პირობით, რომ გაზეთში მონაწილეობას არ მიიღებდენ კონსერვატორულ მიმართულების მწერლები. იავორსკის ქალი ამაზე უსიტყვოთ დასთანხმდა, თუმცა ის იძულებული შეიქნა ზრდილობიანათ ეთქვა უარი და გაზეთისთვის ჩამოეშორებია მისი ქმარის მიერ თანამშრომლებათ უკვე მოწვეული მწერლების მთელი ჯგუფი, სხვათა შორის „Новое Время“-ს, ცნობილი შავრაზმელი, მაგრამ ნიჭიერი პუბლიცისტი მენშიკოვი, რომელსაც, როგორც ამბობდენ, ბარიათინსკიმ გვარიან მოზრდილი გონორარიც გადაუხადა დაუბეჭდელი და მგონი დაუწერელი სტატიებისთვის.

ამრიგათ „Северный Курьер“-ში (ასე ქვიოდა ამ გაზეთს) თავი მოიყარეს თითქმის მაშინდელმა ყველა ოფიციალურმა მარქსისტებმა“. ყოველ შემთხვევაში იმათ, რომლებიც პეტერბურგში ცხოვრობდენ. ესენი იყვენ: ტუგან - ბარანოვსკი, სტრუვე, ბოგუჩარსკი, მასლოვი, ახალგაზრდა პროფესორი ვაგან ტოტომიანცი,, „ნაუჩნოე ობოზრენიე“-ს რედაქტორი მ. მ. ფილიპოვი და ზოგიც სხვა უფრო პატარა ზომისა და წონის მარქსისტები... ყველამ ჩინებულად იცოდა, რომ ასეთი კომბინაცია უდღეური იქნებოდა. მაგრამ რას კარგავდენ? თავნიდან ვინ რას აგებდა?

მარქსისტების ამ ჯგუფმა გადაწყვიტა ამ ახალი გაზეთის ხელში ჩაგდება. ამისთვის საჭიროთ დაინახეს გაზეთის ყველა განყოფილებაში ჩაეყენებიათ სანდო პირი.. უეჭველად მარქსისტი. რუსეთის ყველა მხარეს: კავკასიას, პოლონეთის, ფილიანდიას, ციმბირის და ყველა სხვა პროვინციებს გაზეთში თავისი საკუთარი რედაქტორი, ან როგორც მაშინ ეძახდენ „მიმომხილველი“ (обозреватели) მიუჩინეს. მათ ამით უნდოდათ გაზეთის სადავეს ხელში ჩაგდება. ეს მართლაც, რომ კარგად იყო მოფიქრებული: თუ ყველა პროვინცია მარქსისტების ხელში იქნებოდა და გაზეთის გამომცემლები მათ თანამშრომლობას პოლიტიკური თუ სხვა მოსაზრებით არ მოისურვებდა, მარქსისტებს ან რედაქციაში მათ წარმომადგენლებს, როგორც პროვინციასთან დაკავშირებულ პირებს, ყოველთვის ექნებოდათ საშუალება რედაქციის ლაგამი მოეწიათ და გაზეთის გავრცელება შეეჩერებიათ.

აი ამ „Северный Курьер“-ის თანამშრომელთა რიცხვში პირველ დღიდანვე მეც მოვხვდი. მე იქ ვასრულებდი „კავკასიის მიმომხილველის“ როლს, მე მიმიწვიეს დასახელებულმა „ოფიციალურმა მარქსისტებმა“.. ჩემი მათთან დაახლოება ასე მოხდა:

იმ დროს პეტერბურგში ლიტერატორი მარქსისტი, რიცხვით ძლიერ ცოტა იყო.. სტუდენტებში ერთობ ბევრი იყვენ ისეთები, რომლებიც მარქსის მოძღვრებას გულდასმით სწავლობდენ, მაგრამ ჩვენ იმათზე არ ვლაპარაკობთ. გაზეთში„მიმომხილველის“როლში საჭირო იყო გამოცდილი ლიტერატორი და მცოდნე მარქსისტი. რა თქმა უნდა, ვერც ერთით და ვერც მეორე ღირსებით მე თავს ვერ მოვიწონებდი, მაგრამ ერთმა მოულოდნელმა შემთხვევამ ერთ მშვენიერ დღეს ერთადაც გამასალა და მეორედაც.

საქმე ასე იყო.

პეტერბურგში ვლადიმირის პროსპექტზე იყო ცნობილი „კლუბი ეკონომისტებისა“. აქ კვირაში ერთხელ, პარასკეობით, ხდებოდა სხდომა „ეკონომისტთა კრების სამეცნიერო კომისიისა“, სადაც სხვა და სხვა მწერლები და მეცნიერები გამოდიოდენ ლექციებითა და მოხსენებებით სხვა და სხვა კითხვებზე.. აქ ყველაზე უფრო მეტს მარქსიზმზე და მარქსზე მსჯელობდენ და კითხულობდენ...

აი ამ „კლუბში“, 1898 წლის 18 დეკემბერს დაიწყო მოხსენებათა მთელი რიგის კითხვა, „Новое Время“-ს თანამშრომელმა ვინმე ნ. ა. ენგელგარტმა შემდეგის სათაურით: „Критический анализ русского марксизма“. ამ მოხსენებებში ლექტორი ამტკიცებდა, რომ რუსი მარქსისტებმა მარქსი ვერ გაიგეს, რომ თვითონ მარქსი იყო ევოლიუციის მომხრე და არა რევოლიუციისა, რომ „კაპიტალის“ გამოჩენილი ავტორი წინააღმდეგი იყო სახელმწიფო წესწყობილებების ძალდატანებით გარდაქმნისა, რომ ის იცავდა და ემხრობოდა დაჩაგრულ პიროვნებას პირუტყვშიაც კი და სხვა ასეთები...

ენგელგარდტის მოხსენებებს ინტელიგენცია და უფრო მოსწავლე ახალგაზრდობა აუარებელი ესწრებოდა. ყოველ მოხსენების შემდეგ დიდი და დაუსრულებელი დებატები იმართებოდა, რომელშიც უდიდეს მონაწილეობას უმაღლესი სასწავლებლების მოსწავლე ახალგაზრდობა იღებდა. რამდენადაც მახსოვს, პირველ საღამოს შემდეგ, არც ერთი ცნობილი ან „ოფიციალური“ მარქსისტი არ დასწრებია. მთელი ბრძოლა ახალგაზრდების ან როგორც იქ ოპონენტები ეძახდენ, „მარქსიზმის ფეხითა ჯარის“ (марксистская пехота), ზურგზე გადადიოდა. უკანასკნელებს მეთაურობდა ნიჭიერი ორატორი გიორგი სტეფანეს ძე ნოსარი, შემდეგ 1905 წლის რევოლიუციის დროს პეტერბურგის მუშათა დეპუტატების საბჭოს თავმჯდომარე გიორგი ხრუსტალიოვი, რომელიც იმდროს პეტერბურგის უნივერსიტეტის პირველ თუ მეორე კურსის სტუდენტი იყო.

მე იმ დროს პეტერბურგში სულ რამდენიმე თვის ჩასული ვიყავი და თავს მეტის მეტად პროვინციალად ვგრძნობდი, მაგრამ, როდესაც სახლში ენგელგარდტის პირველ მოხსენების დაბეჭდილ თეზისებს გულ-დადებით გავეცანი, როცა შევადარე მისი დებულება მარქსის დებულებებს, შევამოწმე მისი ციტატები მარქსის წიგნებში, დავინახე, რომ მომხსენებელის დებულებები და დასკვნები სრული სიყალბეზე იყო აშენებული. პირველად თვალებს არც კი დავუჯერე, იმდენად დამახინჯებით მოყავდა ენგელგარდტს ციტატები „კაპიტალიდან“. მაგრამ თანდათან დავრწმუნდი, რომ საქმე მქონდა გარყვნილ შარლატანთან, რომელიც თავის სიტყვებისთვის პასუხისგებას არ არის დაჩვეული.

ამ გარემოებამ მე იმდენად გამაკვირვა, რომ თავი სიზმარში მეგონა. როგორ? მეცნიერულ საზოგადოებაში, მეცნიერების თანდასწრებითა და მონაწილეობით, ვიღაც გიჟი გამოდის უდიდესი აუდიტორიის წინაშე და მარქსისტებს თვით მარქსით ცხვირიდან ძმარს adენს და ამას ისე ჩადის, რომ მარქსის არც ერთი დებულება, ერთი ციტატა სწორად არ მოყავს! კიდევ უფრო საკვირველი, ის არის, რომ აქ მოგროვილი მეცნიერები არა თუ მასხარად არ იღებენ ასეთ ლექტორს, არა თუ კარში არ აგდებენ, პირიქით, ტაშს უკრავენ, ქებას ასხამენ, კრების თავმჯდომარე ვიღაც მოხუცი პროფესორი ხელსაც ართმევს მას, მადლობას უცხადებს „ასეთი საინტერესო მოხსენებისთვის!“.

ეს ჩემთვის ნამდვილი ამერიკის აღმოჩენა იყო. ამ გარემოებამ ჩემი პროვინციალიზმი თანდათან გაალხო, მე ამდენხანს აქ თავმოყრილ პროფესორებს მეცნიერების ქურუმებათ ვსახავდი. ამის შემდეგ კი აშკარა იყო, რომ თუ თვით მეცნიერება ზე-კლასური იყო, თვითონ ეს „მეცნიერები“ კი მხოლოდ და მხოლოდ თავისი კლასის ინტერესების თვალსაზრისით უდგებიან საკითხს. ამიტომ ეუბნებოდა მადლობას მოხუცი პროფესორი მომხსენებელს „საინტერესო მოხსენებისათვის“... ცხადი იყო, რომ რუსეთში ახლად ფეხ-ადგმული მარქსიზმი ძილს უფრთხობდა ძველ საზოგადოებას და მის მთავრობას. მეცნიერების ძველი ქურუმებიც რაც ძალი და ღონე ქონდათ ცდილობდენ ხალხისთვის თვალები აეხვიათ და ასეთ დროს ენგელგარდტისთანა ლექტორები, რომლებიც რუს მარქსისტებს მარქსითვე გააბითურებდენ, ძალიან სასურველი უნდა ყოფილიყვენ...

ეს ჩემი აღმოჩენა გავუზიარე გ. ნოსარს და ჩემ მიერ დამუშავებული მასალებიც მას შევთავაზე, რომ ენგელგარდტის მორიგი მოხსენების დროს გამოეყენებია. ნოსარს ეს „აღმოჩენა“ ძალიან მოეწონა, მაგრამ მითი სარგებლობა კი არ მოისურვა.—„რამდენიც მეტი იქნება ჩვენი ორატორები მით უკეთესია. სირცხვილია, რომ ამდენი

ახალგაზრდობიდან ასე ცოტა ხალხი იღებს დებატებში მონაწილეობას. რადგან გიმუშავნია, შენი მასალებიც თვითონ გამოიყენე. ძაღლი ვინც მოკლას, მანვე უნდა გადაათრიოსო...

1899 წლის იანვრის ბოლო რიცხვებში იმავე კლუბში, რომელშიც ენგელგარდტი თავის მოხსენებას კითხულობდა, მეც გამოვედი კონტრ-მოხსენებით, რომელიც მასალების მხრით ერთობ მდიდარი იყო. ჩემმა „აღმოჩენამ“ ყველანი გააკვირვა. კრების თავმჯდომარე მოხუცი პროფესორი, რომელიც სამი-ოთხიოდე კვირის წინეთ ენგელგარდტს მხურვალე მადლობას უცხადებდა „საინტერესო“ მოხსენებისთვის, ყველაზე უფრო იყო განცვიფრებული. ის მოვიდა ჩემთან, გამომართვა „კაპიტალის“ პირველი ტომი, დაკვირვებით გადაათვალიერა ჩემ მიერ აღნიშნული ადგილები, რაღაც წასჩურჩულა თავის კოლეგებს და წიგნი ენგელგარდტს გადასცა.

ენგელგარდტის საპასუხო სიტყვით გამოსვლა და აუდიტორიაში ერთ დაუსრულებელი აურ-ზაურის ატეხა ერთი იყო:—შარლატანი! შავრაზმელი! საზიზღარი!.. ასეთი ეპიტეტები გაისმოდა მრავალრიცხოვან აუდიტორიაში მთელი ნახევარი საათის განმავლობაში.

ენგელგარდტს ისტერიული ტირილი მოუვიდა... ამ გარემოებამ საშუალება მისცა თავმჯდომარეს კრება დახურულად გამოეცხადებია. აუდიტორია კიდევ დიდხანს არ ცხრებოდა.—მე გაზეთის საშუალებით გავცემ პასუხს ჩემს ოპონენტს!—ლუღლუღებდა ენგელგარდტი. მან მართლაც შეასრულა თავისი დაპირება და რაღაც უთავბოლო პასუხი მართლაც გასცა თავის ოპონენტს, რომელიც „неистовый кавказец“-ათ მონათლა.

ასე სკანდალით გათავდა ენგელგარდტის მხოსენებებით გამოწვეული დებატები.

აბა როგორ წარმოვიდგენდი, რომ ენგელგარდტის წინააღმდეგ გამოსვლა მე მარქსის მცოდნე ახალგაზრდის სახელს მომიპოვებდა მარქსისტების წრეში. ამის შემდეგ მკითხველი მიხვდება, რომ როცა „Северный Курьер“-ში თავმოყრილი „მარქსიზმის ეპისკოპოსები“ მცოდნე მარქსისტს ეძებდენ, მე მათთვის მთელი აღმოჩენა ვიქნებოდი.

სწორედ ეს იყო მიზეზი, რომ მე დასახელებულ გაზეთში „კავკასიის მიმომხილველის“ როლი დამაკისრეს. ყველაფერი, რაც კი კავკასიის შესახებ ამ გაზეთში ჩემი თუ სხვისი დაწერილი იქნებოდა, იბეჭდებოდა ჩემი რედაქციით და დასტურით.

თუ საზოგადოთ მტრის ცუდი აზრი თქვენს შესახებ თქვენი სიკეთისა და კარგი კაცობის მაჩვენებელია, უნდა ვიფიქროთ, რომ მე ჩემს მოვალეობას ცუდათ არ ვასრულებდი, რადგანაც ველიჩკოს „კავკაზ“-ი და სუვორინის „Новое Время“ გაბოროტებით ესხმოდენ თავს „Северный Курьер-სა და მის თანამშრომელს, „недоучившему семинаристу“ სწორეთ კავკასიის საკითხების გაშუქების საქმეში. ჩემ სასარგებლოთ მეორე საბუთად ისიც შეიძლება დავასახელოთ, რომ მაშინდელ „კვალში“, რომლის მთავარი ხელმძღვანელი დღევანდელი „ბრძოლის“ შეფი ნ. ნ. ჟორდანია ბრძანდებოდა, ერთობ ბევრ წერილებს ათავსებდა „სევ. კურიერ“-იდან ნათარგმნს ზოგს ჩემ ხელმოწერილს, უფრო მეტს ხელმოუწერელს.

ალბათ, „ბრძოლის“ კალმოსნები დღეს „С. К.“-ში თანამშრომლობასაც პასივში გვიწერს. მაგრამ მათ უნდა მოვახსენო, რომ ძველი ნოე ჟორდანია მაშინ ასე არ უყურებდა ამ გაზეთში თანამშრომლობას. „Сев. Кур.“-ში თანამშრომლობა მასაც ძალიან უნდოდა. აი რას მწერდა იგი იმ დროს პასუხად ჩემი წერილისა, რომელიც მე მას „Сев. Кур.“-ის მალე გამოსვლას ვაცნობებდი და ვეკითხებოდი: მიღებს თუ არა იგი ახალ გაზეთში მონაწილეობას: „„Сев. Кур.“-ში თანამშრომლობის წერილი არ მიმიღია, მარა თუ მივიღებ, ხანდახან სიამოვნებით გამოვგზავნი წერილებს“. (იხ. ნ. ჟორდანიას ჩემდამი პეტერბურგში მოწერილი ბარათი 1899 წლის 8 დეკემბრის თარიღით).

კიდევ მეტი: იგივე ნ. ჟორდანია იმავე წერილში მთხოვდა „კვალის“ თანამშრომლათ მიმეწვია ტუგან-ბარანოვსკი, რომელსაც უნდა დაეწერა „რუსეთის ეკონომიური განვითარება მე-XIX საუკუნეში“, ბოგუჩარსკი და სხვები... მე კიდეც გამოვუგზავნე „კვალს“ ტუგან-ბარანოვსკის დასხელებული სტატია, რომელიც, მგონი ცენზორის მიზეზით, არ დაიბეჭდა.

მეტად არ მიგვაჩნია აქვე მოვუთხროთ მკითხველს იმის შესახებაც, თუ რით დამთავრდა გაზეთი „Сев. Курьер“-ისა და მისი ჯგუფი ჟურნალისტების მოღვაწეობის ეს ეტაპი.

1900 წლის მიწურულში „Сев. Кур.“-ი მთავრობამ დახურა. ყოვლისშემძლებელი პლევე თავიდანვე ვერ ითმენდა ამ გაზეთს. ეს ასეც უნდა ყოფილიყო, რადგანაც, გარდა იმ მითქმა-მოთქმისა, რომელიც მარქსისტების თანამშრომლობის შესახებ წინ უძღოდა ამ გაზეთს, მასში მართლაც ხშირად იბეჭდებოდა თვითონ მთავარი რედაქტორის ვ. ვ. ბარიატინსკის წერილები, რომლებმაც თავის ლიტერატურულ ამპლუათ რუსი გუბერნატორების საგმირო საქმეების სააშკარაოზე გამოტანა და მათ მოქმედებაზე მსჯავრის დადება დაისახა.

პლევეს პირველ ნომრიდანვე სურდა გაზეთის დახურვა, მაგრამ ვერ ახერხებდა, რადგანაც ბარიათინსკის დედის, რომელიც „სტატს დამა“ ბრძანდებოდა და, თურმე, პირადი მეგობარი ქვრივი დედოფლისა, ერიდებოდა, როგორც რედაქციაში ამბობდენ ის „Сев. Кур.“-ის გამო კიდეც დაქადებოდა პლევეს:

Я мою Володию в обиду не дам. Пусть попробует Плеве хоть пальцем тронуть его!

არ ვიცი ამ ბერი ქალის ასეთი ქადილი თუ რამე სხვა გარემოება იყო მიზეზი, მაგრამ ის კი ვიცი, რომ „Сев. Кур“-ი არ დახურეს. ის მხოლოდ ორი კვირით შეაჩერეს. მაგრამ სიმართლე უნდა ვთქვათ, რომ გაზეთს არც ამის შემდეგ დაუწევია კილო. ის ისევ ძველებურად ესხმოდა თავს გუბერნატორებს...

მაგრამ წლინახევრისა თუ ორი წლის არსებობის შემდეგ „Сев. Кур.“-ი მაინც წააჩხო პლევეს მსახვრალმა ხელმა. გაზეთის მთავარი თანამშრომლების დიდი უმეტესობა წავიდ-წამოვიდენ, დაიშალენ, ყველამ თავისი საქმე მონახა, დარჩა მხოლოდ ამ გაზეთის თანამშრომელების ერთი ჯგუფი, რომელმაც ახალი გაზეთის გამოცემა მოინდომა. ეს მით უფრო შესაძლებელი იყო, რომ „ს. კ.“-ის სტამბა მზად იყო. ხელის მომწერლებიც ხომ საკმაო იყო. თუ ჩვენი ახალი გაზეთი „С. К.“-ის ტრადიციებს არ უღალატებდა, ის სულ მალე თავის თავს მატერიალურადაც გაამართლებდა. საჭირო იყო მხოლოდ ახალი გაზეთის ნება-რთვა, რაც იმ დროს ერთობ ძნელი საქმე იყო. ყველამ იცოდა, რომ „С. Кур.“-ის ყოფილი თანამშრომლებისთვის გაზეთის ნებართვის მიღება შეუძლებელი იყო.

მაგრამ სულ მალე ეს დაბრკოლებაც დაძლეულ იქნა გავიგეთ, რომ ვიღაც ვაჭარს, გვარად ბასკინს, რომელიც იმ დროს ვარშავაში ცხოვრობდა, აღებული ქონდა პეტერბურგში გაზეთის გამოცემის ნებართვა. მაშინვე აფრინეს კაცები ბასკინთან გაზეთის ნებართვის ნასყიდლად.. და 1901 წლის იანვარში უკვე მზათ იყო ახალი გაზეთი: „რაღნოე დელო“, რომელიც თუ მეხსიერება არ მღალატობს, შვიდსა თუ რვა იანვარს უნდა გამოსულიყო, მაგრამ ის გამოსვლის წინა დღესვე დაგვიხურეს.

ამასაც თავისი პატარა, მაგრამ საინტერესო ისტორია აქვს, რომელსაც აქვე მოვიყვან.

როგორც ვთქვი, ახალ გაზეთს დიდი შანსები ქონდა არსებობისთვის. მაგრამ საქმის დასაწყებათ მაინც იყო საჭირო ცოტა თანხა. ბარიათინსკის ასეთი არ აღმოაჩნდა. ამიტომ „ს. კურ.“-ის ამ ჯგუფმა გადატყვიტა ცოტაოდენი ფული, ვის რამდენი შეეძლო, ეშოვნა. მე პეტერბურგში და არც არსად სხვაგან ისეთი ნაცნობი არ გამაჩნდა, რომ ასიოდე მან. ჩემთვის ხელი გაემართა. მაგრამ იმ დროს პეტერბურგში ჩამოვიდა ინჟინერი იოსებ არკადის ძე კოგანი, რომელიც უწინ ხუთიოდე წელიწადი ცხოვრებდა თბილისში და რომელსაც უდიდესი ღვაწლი მიუძღვის მესამე დასელების გამარქსისტებაში. კოგანი ამ დროს ხარკოვში მსახურებდა და როცა პეტერბურგში ჩამოვიდოდა, ბინათ ჩემთან გაჩერდებოდა ხოლმე.

როცა კოგანმა ახალი გაზეთის გამოცემის ცდა გაიგო, ძალიან გაუხარდა და ხარკოვიდან 600 მანეთის გამოგზავნა აღმითქვა. ამან პირდაპირ ფრთები გამომასხა და ამხანაგებსაც ძლიერ გაუხარდათ...

გაზეთის გამოცემის საქმე, განსაკუთრებით ის, რომ ეს გაზეთი „Сев. Кур“-ის ყოფილი თანამშრომლების იქნებოდა, ერთობ საიდუმლოდ უნდა დაგვეცვა ყველას. მხოლოდ მეტის მეტად დაახლოებულ ამხანაგებს შეიძლებოდა გავნდობოდით...

მაგრამ ჩვენი საიდუმლოება მალე გაიგეს და გაზეთიც გამოსვლის წინა დღესვე დახურეს... და ამ საქმეში მგონი ყველაზე მეტი ღვაწლი მე და პროფესორ ტოტომაინცს მიგვიძღვის.

საქმე ასე იყო. იმ დროინდელ „ლეგალურ მარქსისტებს“ ყავდათ ერთი მეტისმეტად დაახლოებული პირი გუროვიჩი, რომლის სახელიც ჩვენ ზემოთ უკვე ვახსენეთ. ეს კაცი ყველგან გამოდიოდა ისე, როგორც მარქსისტი. მას ძალიან მფარველობას უწევდენ სტრუვე და კიდევ უფრო ბოგუჩარსკი, რომელთანაც ის თურმე ერთად იყო ციმბირში გადასახლებული. გუროვიჩი დადიოდა სხვათა შორის ტუგან-ბარანოვსკის „ჟურფიქსებზეც“, სადაც თითქმის ყველა მარქსისტები იკრიბებოდენ. არავინ არ იცოდა, თუ რითი და რა საშუალებით ცხოვრობდა ეს კაცი. ამბობდენ მხოლოდ, რომ ის იყო ქმარი მარქსისტულ ჟურნალ „ნაჩალო“-ს გამომცემელისა. გუროვიჩი ნამდვილ ევროპიულად იცვამდა და თავი ისე ეჭირა, როგორც მდიდარ ჯენტლემენს. მას მართლაც მდიდრის სახელი ჰქონდა გავარდნილი „ლეგალურების“ წრეში.

ერთხელ ტოტომიანცმა მითხრა: მოდი, წავიდეთ გუროვიჩთან. იქნება ფული გვასესხოსო. მე გუროვიჩს პირადად არ ვიცნობდი, ტოტომიანცი კი მას ხშირად ხვდებოდა მარქსისტების წრეებში და კარგი ნაცნობობაც ჰქონდა.

წავედით. როგორც მაგონდება, ახალი წელი იყო. გუროვიჩმა ალტაცებით მიგვიღო. ძალიან გაგვიმასპინძლდა. საახალწლო სუფრა მდიდრად ქონდა მორთული. ტოტომიანცი მოუყვა თავისი ვიზიტის მთავარ მიზეზს.

— რამდენი გინდათ?

— რამდენ მეტს ვიშოვნით, მით უკეთესი იქნება.

— ორი ათასი მანეთი თქვენს გაჭირებას უშველის?

— ო, ეგ სულ გაკეთება იქნება!

გუროვიჩმა ხელი უბისკენ წაიღო. მაგრამ უცბათ, თითქოს რაღაცა მოაგონდაო, შეჩერდა.—იცით რა? ზეგ ჩემთან ერთ-ერთმა თქვენგანმა შემოიარეთ. მე ჩეკს დაგახვედრებთ და [illegible], ბანკიდან მიიღებთ...

ჩვენ პირდაპირ მოჯადოებული დავრჩით გუროვიჩის ასეთი უანგარო თანაგრძნობით და როცა მან ისე, ვითომ სხვათა შორის, გვკითხა: რატომ რად ჭირდათ ამდენი ფული, ჩვენც მოვუხსენით თავი და ჩვენი „საიდუმლო“ თავიდან ბოლომდი მოვუყევით.

როცა დანიშნულ დროს ფულის მისაღებათ მივედით, გუროვიჩი სახლში არ დაგვიხვდა და სულ ორ-სამ დღეში მისი ტკბილი დაპირება ტკბილ სიზმარსავით გაქრა... ამის შემდეგ არ გასულა ორი-სამი დღე და „პრავიტელსტვენნიი ვესტნიკ“-ში უკვე გამოცხადდა შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანება „როდნოე [illegible]ლო“-ს დახურვის შესახებ. ეს იყო ამ გაზეთის გამოსვლის ერთი დღით ადრე.

ვ. ვ. ბარიათინსკი გულს მაინც არ იტეხდა. ის ყველას ამხნევებდა: ეს გაუგებრობაა, დღეს უქმეა და ვერაფერს გავიგებთ,ხვალ საქმეს გამოვარკვევ და იმედი მაქვს, რომ გაზეთს აღვადგენ.

ის მეორე დღეს მართლაც წასულიყო სამინისტროში და, როგორც იმავე დღეს საღამოს გადმოგვცა, საქმე უიმედო იყო. მას სამინისტროში გადაკრულ-გადმოკრულათ უკვე გააგებინეს, რომ დედა მისი უკვე გადებირებია პლევეს, რომელიც, რა თქმა უნდა, ადვილად დაუმტკიცებდა მეფის სასახლეში დიდათ წარჩინებულ დედაკაცს, რომ მხოლოდ მარქსისტების ამ ბუნაგის დანგრევით ის იხსნის მის ბრწყინვალე შვილს მარქსისტების ბანდების გავლენიდან და ხელ-ახლა აღადგენს მისი ოჯახის რეპუტაციას, რომელსაც ვ. ვ. ბარიათინსკის ასეთი მოღვაწეობით ცოტა ელვარება დააკლდა.

იმავე საღამოს „С. К.“-ის თანამშრომელთა ეს ჯგუფიც სამუდამოთ დაიშალა. ჩაის შემდეგ გამოვეთხოვეთ ყოფილ რედაქტორს და გავშორდით ერთმანეთს.

მეორე დღეს მთელმა ქალაქმა გაიგო, რომ ვ. ვ. ბარიათინსკიმ რევოლვერით თავი მოიკლაო. ბოლოს გამოირკვა, რომ მას მართლაც. მძიმეთ დაეჭრა თავი. ეტყობა ამ საქმეში დედის როლი ვერ აიტანა, „სტატს დამას“, ეტყობა, უფრო ხელსაყრელად მიაჩნია მძიმეთ დაჭრილი შვილის ევროპის კურორტებზე მოსარჩენათ გაგზავნა, ვიდრე მისი „მარქსისტების ბანდების“ გავლენის ქვეშ დატოვება.

ასე გათავდა „С. Кур.“-ისა და მისი ჯგუფის ისტორია.

მკითხველს სრული უფლება აქვს გვითხრას; რა დამოკიდებულება აქვს ყოველ ამას „ბრძოლასთანო“?

სამართლიანი კითხვაა. სრულიად არაფერი! მაგრამ [illegible]ლებული გავხდი ჩემი ცხოვრების ამ პერიოდზე შევჩერებულიყავი, საჭიროთ დავინახე ამაზეც მელაპარაკა, რადგანაც ალლახმა უწყის, მომეცემა თუ არა საშუალება ოდესმე დავუბრუნდე ამ საკითხს.

ამას კიდევ მით აქვს მნიშვნელობა, რომ დღეს ჟანდარმებისა და პოლიციის არქივები ხალხის ხელშია... შეიძლება ვინმემ მოიცალოს პრესის ისტორიისთვის და მე ჩემი წვლილი მით შემაქვს ამ საქმეში, რომ ერთი რიგიანი გაზეთისა და აგრეთვე „ლეგალური მარქსისტების“ შესასწავლათ მასალას ვაძლევ მომავალ მკვლევარს.

**ყარიბი.**

# პოლიტიკური მიმოხილვა

**1) სოც.-დემ. მოღალატეობის კიდევ ერთი ნიმუში; 2) ლატვია-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულების რატიფიკაციის მოლოდინში; 3) ბულგარეთ-სამხრეთ-სლავიის კონფლიქტის მიზეზები**

**1.**

სოც.-დემ. ლიდერები ყოველთვის უარით უპასუხებდენ და მოხერხებულად გაურბოდენ კომუნისტების ინიციატივას და წინადადებებს მუშათა მთლიანი ფრონტის შექმნის საკითხში და რეაქციის შემოტევისაგან თავის დასაცავად შეთანხმებული გამოსვლების შესახებ. ისეთ შემთხვევებში, როდესაც მასების ზეგავლენა და განწყობილება იძულებულს ხდიდა მათ, რომ წასულიყვენ ასეთ დათმობაზე, თავის მონაწილეობას ისინი იყენებდენ მხოლოდ ამ ფრონტის დასაშლელად და ბურჟუაზიის დასაცავად.

სოც.-დემ. ლიდერების ასეთი პოზიცია—მუშათა მთლიანი ფრონტის წინააღმდეგ და ბურჟუაზიის დამცველის როლში გამოსვლა,—არც არის გასაკვირველი და შეთანხმებულია საერთაშორისო სოც.-დემ. ისტორიულ როლთან და იმ მთავარ პოლიტიკურ ხაზთან, რომელიც მას აქვს შემუშავებული ბურჟუაზიასთან დამოკიდებულების საკითხში. მის შემდეგ, რაც სოც.-დემ. პრინციპიალურად უარყო კლასთა ბრძოლის თეორია და ოფიციალურად იცავს და ქადგებს კლასთა თანამშრომლობის იდეას, როდესაც მან მეორე ხარისხის საქმედ გამოაცხადა სოციალიზმისათვის ბრძოლა, რა თქმა უნდა, მიუღებელია კომუნისტებთან მთლიან ფრონტში შესვლა, რადგან ეს ავალებს მას ბრძოლას ბურჟუაზიასთან და ამ ბრძოლაში რევოლუციონური მეთოდების გამოყენებას.

მიუხედავად ამისა, მასების თვალის ახახვევად და შეცდომაში შესაყვანად ,სოც.-დემ. ლიდერები ოფიციალურად მაინც არ გამოდიან მთლიანი ფრონტის ლოზუნ-

გის წინააღმდეგ. პირიქით, ამ ლოზუნგის განუხორციელებლობის მიზეზათ და დამნაშავეთ ცდილობენ გამოაცხადონ კომუნისტები, რომ თითქოს ისინი უშლიან ხელს ამის განხორციელებას, რომ თითქოს ამ ლოზუნგით ისინი სარგებლობდენ მხოლოდ პოლიტიკური დემონსტრაციის მოსახდენად.

თუ რამდენად ყალბია სოც.-დემ. ასეთი ბრალდება და რამდენად განუყოფელია მათი თანამშრომლობა ბურჟუაზიასთან, ერთხელ კიდევ ადასტურებს გერმანიის სოც.-დემ. პარ. ჰამბურგის ორგანიზაციის პასუხი კომუნისტების წინადადებაზე ჰამბურგის მუნიციპალიტეტში სოც.- დემ. და კომუნისტ. უმრავლესობის გამოყენების შესახებ.

როგორც ვიცით, ჰამბურგის მუნიციპალურ არჩევნებში, რომელიც ჩატარდა ამ დღეებში, სოც.-დემ. და კომუნისტებს ხვდა წილად დიდი გამარჯვება, მიიღეს ხმების დიდი უმრავლესობა. ჰამბურგის კომუნისტურმა ორგანიზაციამ გადასწყვიტა ამ უმრავლესობის გამოყენება და წინადადებით მიმართა სოც.-დემ., რომ ის მხარს დაუჭერდა მათ, თუ ისინი განახორციელებდენ მუშათა კლასის ისეთ მინიმალურ მოთხოვნილებებს, როგორიც არის: 8 ს. სამუშაო დღის დაწესება, ხელფასის და უმუშევართა დახმარების გადიდება, ფაშისტების რეაქციონური კავშირების განიარაღება და სხვა. ყველა ეს მოთხოვნილებები სოც.-დემ. თვით ჰქონდათ წამოყენებული— თავის საარჩევნო პროგრამაში, მაგრამ მაინც უარი სთქვეს წინადადების მიღებაზე და საჭიროდ სცვნეს სახალხო პარტიასთან არსებული კოალიციის დაცვა.

აქედან ცხადია, რომ სოც.-დემ. სრულიადაც არ ფიქრობენ საარჩევნო პროგრამის რეალურად განხორციელებას და ამით ბურჟუაზიასთან კონფლიქტების შექმნას და ამიტომ არ შეეძლოთ კომუნისტების წინადადების მიღება.

გერმ. სოც.-დემ. ჰამბურგის ორგანიზაციის ეს გადაწყვეტილება ერთხელ კიდევ ააშკარავებს, თუ რამდენა სიყალბეა სოც.-დემ. სიტყვასა და საქმეს შორის, თუ რამდენად მტკიცედ იცავენ ისინი ბურჟუაზიასთან თანამშრომლობის შენარჩუნებას და უშლიან ხელს მუშათა მთლიანი ფრონტის განხორციელებას.

უთუოდ ჰამბურგის სოც.-დემ. ასეთი პოზიციის დასაცავად სჭირდებოდა გერმანიის სოც.-დემ. ოვიციოზს „ფორვერტს“ კომუნისტების წინააღმდეგ მორიგი ცილის წამების კამპანიის გამართვა, კომუნისტების გამარჯვების შემთხვევით მოვლენად გამოცხადება და ის წინასწარმეტყველება, რომ ჰამბურგის მუნიციპალიტეტის პროლეტარული უმრავლესობა ვერ მოახერხებს ნაყოფიერ მუშაობასო.

2

ამ დღეებში გაიხსნა ლატვიის სეიმის მორიგი სესია, რომელმაც რატიფიკაცია უნდა უყოს 2 ივნისს ხელმოწერილ ლატვია-საბჭოთა კავშ. შორის დადებულ ხელშეკრულებას და კონვენციას.

ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები, რომელიც გულისხმობს ისეთ სავაჭრო ურთიერთობას, როდესაც თვით მთავრობის ხელმძღვანელობით იწარმოებს საქონლის მიწოდების საქმე, რითაც აცილებულ იქნება ყოველგვარი კონკურენცია და ხელს შეუწყობს ორივე სახელმწიფოს შორის ნორმალური დამოკიდებულების შექმნას და სავაჭრო ოპერაციების მაქსიმალურ განვითარებას.

სპარსეთთან დადებული ხელშეკრულების შემდეგ: ვენის მუნიციპალიტეტთან და შვეციასთან დადებული ხელშეკრულებები და ლატვიის ხელშეკრულებების და კონვენციის დამტკიცება, მორიგი გამარჯვებაა საბჭოთა ხელისუფლების საერთაშორისო პოლიტიკის ფონზე და დიდი მარცხი ინგლისის ანტისაბჭოთა პოლიტიკის, ჩაშლა საბჭოთა კავშირის იზოლიაციის გეგმის.

დიდი ბრიტანეთის ანტისაბჭოთა აქტიური პოლიტიკის ავტორები ჩემბერლენ-ჩერჩილ-დეტერდინგები შეშფოთებული არიან საბჭოთა კავშირის უკვე მიღწეული შეთანხმებებით. მათ განკარგულებაში უკვე აღარ არის ის პერსპექტივები, საბჭ. კავშ. იზოლიაციის საკითხში, რომლებიც ჰქონდათ ურთიერთობის გაწყვეტის დროს.

თვითეული ხელშეკრულების დადებას, ინგლისის რეაქციონერები დიდი ბრძოლით ხვდებიან, ხმაურობას და ინტრიგებს ქმნიან, რომ გავლენა მოახდინონ მთავრობებზედ და ხელი შეუშალონ მათ რატიფიკაციას. ასე მოიქცენ ისინი სპარსეთთან ხელშეკრულების დადების მომენტში, ასე მოიქცენ ისინი 1926 წ. ლიტვასთან ხელშეკრულების დადების დროს, ასევე იქცევიან ისინი ეხლაც—ლატვია-საბჭოთა ხელშეკრულების და კონვენციის რატიფიკაციის დროსაც.

ინგლისის ფინანსისტების რეაქციონური გაზეთი „ფინან შიელ-ნიუსი“, არჩევს რა ლატვია-საბჭოთა ხელშეკრულებას, სწერს: „თუ ლატვიამ რატიფიკაცია უყო ხელშეკრულებას, ამით ის შექმნის ახალ დაბრკოლებებს ლატვია-ინგლისს შორის უფრო მჭიდრო ფინანსიური და სავაჭრო განვითარების გზაზე. ის დაარღვევს აგრეთვე ესტონეთ-ლატვიის სადამოჟნო უნიას“-ო; ბრიტანეთის იმპერიალისტები, რა თქმა უნდა, მარტო ამ „კეთილი რჩევით“ და დაშინებით არ დაკმაყოფილდებიან. მათი დავალებით უკვე დიდი ხანია ეწევიან კამპანიას ხელშეკრულების წინააღმდეგ—ლატვიის რეაქციონერები. „ფინან-შიელ-ნიუსის“ დირექტივით, ესტონეთიც გამოვიდა ასპარეზზე. ესტონეთის საგარეო საქმეთა მინისტრი აკელი მიუღებლად სცნობს ბალტიის რომელიმე სახელმწიფოს მხრივ სეპარატიული ხელშეკრულების დადებას საბჭოთა კავშირთან და ხელახლავ აყენებს 1923 წ. რიგის ხელშეკრულებაში წამოყენებულ და დღემდე განუხორციელებულ და უარყოფილ ცნობილ იდეას—ბალტიის სახელმწიფოების შეერთებულ გამოსვლას საბჭოთა კავშირთან საერთო ხელშეკრულების დასადებათ პოლონეთის მონაწილეობით.

აკელის ამ გამოწვევას პოლონეთი უსათუოდ გამოეხმაურება, რადგან ის მეტად დაინტერესებულია ამ იდეის გატარებით, რომელიც მას დირიჟორობის როლს ანიჭებს ბალტიის სახელმწიფოებზე: პოლონეთმა, ჯერ კიდევ 1926 წ. ლიტვა-საბჭოთა ხელშეკრულების დროს, შეეცადა ამ უფლების გამოყენებას და ნოტაც კი გაუგზავნა საბჭოთა კავშირს, სადაც მიუთითებდა რიგის ხელშეკრულებაზე და აფრთხილებდა ლიტვასთან სეპარატიული ხელშეკრულების დადებაზე. პოლონეთის ფაშისტური მთავრობა არც ამ შემთხვევას გაუშვებს, რომ ისევ წამოაყენოს ეს ძველი პრეტენზიები. მით უმეტეს, როდესაც ამით ის სამსახურს გაუწევს ინგლისის შუბლმაგართ, რომლებთანაც მჭიდრო პოლიტიკურ და ეკონომიურ კავშირშია იგი.

ინგლისის რეაქციონური მთავრობა არავითარ საშუალებას არ მოერიდება, ყველას გამოიყვანს და მოიხმარს ამ კამპანიაში, რომ როგორმე ხელი შეუშალოს ხელშეკრულების დამტკიცებას, მაგრამ საეჭვოა რომ აქაც დამარცხება არ განიცადოს. ლატვიის ოფიციალური წრეები და საზოგადოებრივი აზრი იმდენათ დადეიბთი შეხედულების არის ხელშეკრულებაზე, რასაც ადასტურებს სეიმის კომისიებში გამოტანილი დადგენილებები, რომ საკმაო დიდი გარანტიებია მისი დამტკიცების სასარგებლოდ.

ის წინააღმდეგობანი და კონფლიქტები, რაც ასე დამახასიათებელია ბურჟუაზიული წყობილებისა და კაპიტალისტური ურთიერთობისათვის, განსაკუთრებით ქრონიკული ხასიათისაა ბალკანეთში.

ბალკანეთის სახელმწიფოებმა, რომლებიც გაალატაკა და დაასუსტა ეკონომიურად ერთმანეთშორის წარმოებულმა ომებმა—სრულებით დაკარგეს თავისი სუვერენობის დაცვის უნარი და შესაძლებლობა და მოექცენ ევროპის იმპერიალისტების ეკონომიური და პოლიტიკური გავლენის ქვეშ. მათ კიდეც გაინაწილეს ბალკანეთში გავლენის სფეროები და არა თუ ხელს უწყობენ ბალკანეთის სახელმწიფოებს შორის კეთილ-მეზობლური დამოკიდებულების შექმნას, არამედ უფრო ანვითარებენ და აღვივებენ წინედ არსებულ ანტაგონიზმს, რომ ამით უფრო მეტად დაიმორჩილონ ისინი.

წარსულ კვირაში მომხდარი კონფლიქტი ბულგარეთ-სამხრეთ-სლავიის შორის არ შეიძლება ჩავთვალოთ შემთხვევითი მოვლენად, როგორც ეს უნდათ მოაჩვენონ საზოგადოებას ამ სახელმწიფოების ოფიციალურმა წრეებმა. ამ კონფლიქტს უფრო ღრმა და ფართო მიზეზი აქვს. ბულგარეთ-სამხრეთ-სლავიის საკითხი მსჯელობის საგნად იყო გამხდარი კონფლიქტის წარმოშობამდე. ერთა ლიგის სეპტემბრის სესიაზე, რომელმაც თითქოს მოაგვარა ის, ხოლო ერთი თვის შემდეგ, როგორც ვხედავთ, კვლავ წამოიჭრა ეს საკითხი სამხრეთ-სლავიის ტერიტორიაზე მაკედონელი კომიტადჟების თავდასხმით გამოწვეულ კონფლიქტის სახით.

ევროპის ოფიციალური პრესა, საფრანგეთ-ინგლისის ჩარევით, ეხლაც მოგვარებულად სთვლის ამ საკითხს —ბულგარეთის მთავრობამ დააკმაყოფილა სამხრეთ-სლავიის მოთხოვნილებები, რომ მაკედონელი ავტონომისტების წინაალმდეგ შემდეგში მიღებულ იქნება მკაცრი ზომები და დიპლომატიური ბოდიშიც მოიხადა მის წინაშე.

მაგრამ ეს ნომინალური „მშვიდობიანობა“ ისევ მალე დაირღვევა, სანამ რადიკალურად არ გადაწყდება ბალკანეთის სადავო საკითხები, რაც აღემატება იმპერიალისტების შესაძლებლობას და არც შედის მათ მოვალეობაში.

მაკედონელი კომიტადჟების გამოსვლა არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება მიეწეროს მათ საკუთარ ინიციატივას. ბულგარეთის დიქტატორის ლიაპჩევის მონაწილეობაც ძლიერ მცირეა მათ მოქმედებაში. მომხდარი თავდასხმის მთავარი ინიციატორი და ხელმძღვანელი მესამე მხარეა—იტალიის ფაშისტური მთავრობა, რომელიც სხვათა შორის იყო მხოლოდ ნახსენები კონფლიქტის პროცესში.

მუსოლინის მიზანია, რომ ბულგარეთ-სამხრეთ-სლავიის შორის არ შეიქმნას ნორმალური ურთიერთობა, რათა ამით უკანასკნელმა არ დააღწიოს თავი იზოლიაციას და არ მიეცეს შესაძლებლობა პრეტენზიის წამოყენების ალბანეთის საკითხში იტალიის წინაალმდეგ. იტალიასთან ერთად არის და მას ზურგს უმაგრებს ამ საქმეში ინგლისი, რომელიც ცდილობს საფრანგეთის გავლენის შესუსტებას ბალკანეთზე. აქედან ცხადია, რომ ევროპის იმპერიალისტებს, რომლებიც თვით არიან მიზეზი და ინიციატორები ბალკანეთის კონფლიქტების, არ შეუძლიათ და არც არის მათთვის ხელსაყრელი ბალკანეთის სადავო საკითხების გადაწყვეტა და მოგვარება.

კ. ჯეიშვილი.

# ერთი თვალის გადავლებით

ერთი კვირის წინათ ქუთაისში მომიხდა ყოფნა მხოლოდ ერთი დღით.

მთელი შვიდი წელი გავიდა მას აქეთ, რაც არ ვყოფილვარ „სავარდო და საიმაისო“ ქუთაისში.

მე იქ უკანასკნელად ვიყავი მხოლოდ მაშინ, როცა კომუნისტებს გაურბოდით და დემოკრატიულ რესპუბლიკას ვასაფლავებდით. როცა ისტორიის მიერ განწირულები, თბილისიდან გავრბოდით, ქუთაისში შევიარეთ, იქ დავაპირეთ ჩვენი დემოკრატიული რესპუბლიკის დასვენება. იქ მხოლოდ ერთად-ერთი პანაშვიდის გადახდა მოასწრო მისთვის დამფუძნებელმა კრებამ, რომლის თავმჯდომარე, კარლო ჩხეიძის სიტყვა ნამდვილი „სულთათანა“ იყო და ყველამ ასეთად მიიღო იგი.

ყველა ჩვენგანი გრძნობდა, რომ ჩვენ იქ მიგვარეკა რევოლიუციის ტალღებმა ისე, როგორც საპატიო განსვენებულს დასაფლავების წინათ დაასვენებენ ხოლმე იმ ალაგას, რომელთანაც მისი სახელი რაიმე ნაირად არის დაკავშირებული.

ცუდად, პირ-ქუშათ, უპურ-მარილოთ მიგვიღო ძველმა ქუთაისმა. და კიდევ უფრო ცუდად გაგვისტუმრა, ბათომისაკენ.

— გასწი! გაიქეცი! ირბინე!—გვესმოდა მაშინ იდუმალი ხმა და ჩვენც გავრბოდით სიუს „უკვდავ ებრაელსავით“, რომელიც ემორჩილება საბედისწერო ხმას და გარბის, გარბის შეუჩერებლად...

ჩვენც ამ „უკვდავ ებრაელსავით“ ვიყავით შეჩვენებული, რადგანაც ჩვენც მისი ცოდვა გვედო კისრად. მან იხილა ქრისტე, როცა მას გოლგოთაზე მიქონდა წამების ჯვარი და დახმარებისა და თანაგრძნობის ნაცვლად, დასცინა მას, შეურაცყო იგი. მან მიიღო ღირსეული სასჯელი: ნუ გექნება მოსვენება, იარე შეუჩერებლად. იყავი უკვდავი მაწანწალა!

ჩვენც ასეთი ცოდვა ჩავიდინეთ. ვიხილეთ რევოლიუცია, ვიხილეთ ახლად შობილი სოციალიზმი და მის მაგიერად, რომ მას დავხმარებოდით და მისი გამარჯვებისთვის გვებრძოლა, მის მტრებს შეუერთდით... და ამის შემდეგ, ნუ თუ საკვირველია, რომ ჩვენც იმ „უკვდავ ებრაელსავით“ მივიღეთ წყევლა და შეჩვენება...

მაგრამ ჩვენ უფრო წყეულები, უფრო შეჩვენებულები და უბედურები გამოვდექით „უკდავ ებრაელზე“. მას შეეძლო ერბინა რამდენიც სურდა. მისი სარბიელი, მისი სავალი გზა დიდი და ულეველი იყო. ჩვენი სამშობლო, რომელსაც ჩვენ ინსტინქტიურად გავურბოდით, ერთობ პატარა გამოდგა. ქუთაისიდან გაქცეულები, მივადექით შავ-ზღვას, რომელმაც სამუდამოდ დაუდო საზღვარი ჩვენს სარბიელსა და ჩვენს იმედებსაც.

აი, ამ დღეების შემდეგ არ მენახა ქუთაისი, რომლის ხატებაც ისე იყო შენახული ჩემს გულში, როგორც შვიდი წლის წინათ ვნახე იგი.

გამოგიტყდებით: მე არასოდეს არ მყვარებია ქუთაისი. ის ყოველთვის ახდენდა ჩემზე რაღაც უდღეური, სნეული ბალღის შთაბეჭდილებას. მე ყოველთვის მეგონა, რომ ეს ბალღი დაბადების დროს ბებიას ხელიდან გავარდნია და ის ორგანოები, რომელიც აუცილებელია ზრდისა და დავაჟკაცებისთვის, დაშავებია-მეთქი. თითქმის ნახევარი საუკუნე გავიდა მას შემდეგ, რაც ქუთაისს ვიცნობ და ამ დროს განმავლობაში მას არავითარი ცვლილება არ განუცდია. იყო ერთ წერტილზე გაყინული, თითქოს ირონიულად დასცინოდა შფოთიან და აჩქარებულ რიონს, რომლის ნაპირებზე, ალბათ, კონტრასტისთვის გაუჩენია უგულო ბებერ ისტორიას.

გამოგიტყდებით: რაღაც უსიამოვნო გრძნობა მით უფრო ეუფლებოდა მთელ ჩემს არსებას, რამდენადაც მატარებელი ქუთაისს უახლოვდებოდა.

— რას ვნახავ მე იქ? რა თქმა უნდა, ისე უძლურს, უსიცოცხლოს, სასიკვდილოთ განმზადებულ ძველ ქუთაისს. მართალია, ჩვენში დიდის ტემპით სწარმოებს აღმშენებლობა, მაგრამ სად არის ისეთი ძალა, რომელსაც ქუთაისის გამოღვიძება, მისი ამოძრავება, მისთვის სასიცოცხლო სულის შთაბერვა შეეძლება?.

ასეთი პესიმისტური გრძნობებით ვიყავი შეპყრობილი, როცა მატარებელი ქუთაისის სადგურზე გაჩერდა.

სადგური ისევ ძველებურია. მასში არავითარი ცვლილება არ მომხდარა. მის წინ ისევ-ისე დგანან ერთსართულიანი სახლები, რომლებშიც უწინ სამიკიტნოები იყო. აქ ახალი ჩემთვის მხოლოდ ის იყო, რომ ფაიტონებთან ერთად რამოდენიმე ავტომობილებიც იდგა...

ნელის ნაბიჯით გავუდექი გზას ძველი თბილისის ქუჩით. იგივე კბილ-გაცვეთილი ქვა-ფენილები, იგივე ოღრო-ჩოღრო და უსწორ-მასწორი ქუჩები, როგორც დავტოვე შვიდი წლის წინათ.

მივადექი იმ ადგილს, სადაც უწინ ძველი ულაზათო და უშნო სობორო მეგულებოდა. ნაცნობი სობორო, რომელსაც მოწაფეობის დროს მოკრძალებით ვანდობდი სიყმაწვილის ფიქრებს. რომელსაც ყოველთვის

კიოჯვრის წერით ჩაუვლიდი ხოლმე გვერდს, რომლის კედლებსაც ყოველ დილით ხუთჯერ ვემთხვეოდი, თუმცა მე იგი ხშირად არ მიმართლებდა იმედებს და გაკვეთილებში ხუთის მაგიერად ორსაც ვიღებდი...

აი, ეს ჩემი ძველი ნაცნობი სობორო დღეს აღარ არის. მის ადგილზე დღეს დიდი მოედანია, რომელსაც ამშვენებს ლენინის ქანდაკება.

ძველი ქუთაისი და ლენინი! განა ამაზე მეტი კონტრასტი წარმოსადგენია? ლენინი—მტერი ყოველი ძველი, ხავსმოკიდებული გარდამავალისა; რევოლიუციის გრიგალში მოელვარე ლენინი, ძველ ქუთაისში, მიმკდარებულ და მიძინებულ ქუთაისში!

ლენინის ქანდაკება რიონს უნდა გადაყურებდეს. ქუთაისში მარტო რიონი გავს ლენინს. მასავით მოძრავი, მასავით მოუსვენარი, მასავით მქუხარე და შეუპოვარი!

ძველი ქუთაისის ცენტრში ლენინი, ეს ისე მეჩვენა, როგორც ძველ სასაფლაოზე რაღაც საიმედო ნიშანი. არც მეტი, არც ნაკლები!

აღმოსავლეთიდან დასავლეთით გადავჭერი ძველი ბულვარი; იქაც ვერაფერი ცვლილება ვერ ვნახე, გარდა იმისა, რომ ცენტრში ენგელსის ძეგლი დგას. ესეც კონტრასტია ქუთაისისთვის.

ქალაქის თეატრის შენობა ისევ ძველია. ის ახალ შეღებულია. მაგრამ მისი სადა, ყოველ არხიტექტურული ღირსებას მოკლებული „ფასადი“ კიდევ უარეს შთაბეჭდილებას ახდენს ჩემზე თვისი შავი, მგლოვარესავით დათალხული საღებავით...

ასეთი იყო ჩემი პირველი შთაბეჭდილება ძველი ქუთაისის ზერელე დათვალიერებით მიღებული.

ჩემი ასეთი შთაბეჭდილება გავუზიარე ამხ. ამბერკი ურუშაძეს.

— მართალი გითხრა, მე ვერაფერ აღმშენებლობას ვერ ვხედავ ქუთაისში. მას არაფერი ატყვია. ორი-სამიოდე ძეგლის აგება ხომ აღმშენებლობათ და ისიც სოციალისტურ აღმშენებლობად არ შეიძლება ჩაითვალოს?

— რატომ ასე აჩქარებულხართ? თუ ჩვენი აღმშენებლობის გაცნობა გსურთ, ბულვარში კი არ უნდა ეძებოთ იგი. გაბრძანდით ქალაქის განაპირა ნაწილებში. წადით მწვანე ყვავილაზე, სადაც უკვე შენდება რიონჰესი; მოწამეთში, სადაც სულ მალე დამთავრდება ამიერ-კავკასიაში უდიდესი კირის საწვავი ქარხანა; დაბრუნდით ბალახვანის ქუჩით ქალაქის იმ ნაწილისკენ, რომელსაც კახიანოურს ეძახიან, სადაც დღეს კეთდება: მთელ საბჭოთა კავშირში ერთად-ერთი ბარიტის ქარხანა და ასეთივე დიდი აბრეშუმის ძაფის სახვევი ფაბრიკა. დაათვალიერეთ აგრეთვე აბრეშუმის საგრენე ფაბრიკა, ტომატის ქარხანა და სხვა ასეთები და მას შემდეგ თუ თქვენი პესიმიზმი არ განიკურნოს, ის უკურნებელი ყოფილა და თქვენი საქმეც უიმედო იქნება.

სულ ათიოდე წუთის შემდეგ მე და რიონჰესის აშენების ხელმძღვანელს ამხ. ბაგრატ მიქელაძეს უკვე მიგვაქანებდენ აღმასკომის ცხენები მწვანე ყვავილას მიმართულებით.

**პროლეტარი.**

# ორი სამკუთხედი და ჩინეთი

II.

ცინგტაუს, შანტუნის პროვინციისა და ეკკუტორიდან ჩრდილოეთით მდებარე გერმანეთის კოლონიალური კუნძულების დაკავებით იაპონიამ მსოფლიო ომში მონაწილეობაზე ფაქტიურათ ხელი აიღო და პოლიტიკური საქმიანობის საჭე თავისი ისტორიული მიზნის განსახორციელებლათ მომართა.

გაკვრით ჩვენ აღვნიშნეთ იაპონიის მიზნები. თავი და თავი იყო შორეულ აღმოსვლეთში ჰეგემონიის ხელში ჩაგდება. ომში ჩარევა ამ მიზანს ემსახურებოდა და მეომარ სახელმწიფოების მებრძოლ რიგებიდან ფაქტიურათ გამოსვლა ამავე მიზნით იყო გამოწვეული, ხოლო დანარჩენი წლების საქმიანობა თავიდან ბოლომდე ამავე მისწრაფებას ემსახურებოდა.

შანტუნის პროვინციის დაკავებას მოჰყვა აღმოსავლეთ ციმბირის მიდამოების ხელში ჩაგდება, შემდეგ კუნძულ სახალინის ჩრდილო ნაწილში გაბატონება და მდინარე ამურის შესართავამდე მისი ნების ყოფის გავრცელება გაძლიერება. 1920 წლის გაზაფხულზე იაპონია გაბატონებული იყო სამხრეთიდან კუნძულ ფორმოზით დაწყებული ჩრდილოეთით ვიდრე კამჩატკამდე. უცებ ის ბატონ პატრონი გახდა ამ უზარმაზარი ნაწილის — ასე რომ იაპონიის მიზანი თითქმის უკვე მიღწეული იყო. ამას დაემატა კიდევ 1915 წელში ჩინეთისადმი წარდგენილი ე. წოდ. 21 მუხლიანი მოთხოვნილება, რაც იაპონიას 400 მილიონიანი ხალხის მესაჭეთ ხდიდა. ინგლის,საფრანგეთ და რუსეთის მიერ 1917 წლის მარტში დადასტურებული საგარანტიო პაკტი ერთობ შეურყევლათ სთვლიდა იაპონიის კონტინენტალურ ბატონობას. ამას დაერთო 1917 წლის შეერთებული შტატების გარანტია, რომელიც დადასტურებული იქნა ე. წ. „იში - ლანსინგი“-ს შეთანხმებით. იაპონია თავისი სიძლიერის უმაღლეს წერტილზე ავიდა. ამ პოლიტიკურ და ეკონომიურ მიღწევებს, ანუ უკეთ რომ ვსთქვათ წმინდა წყლის იმპერიალისტურ ძარცვის საგუშაგოზე თითქმის ხელუხლებელი ჯარი და ფლოტი უდგა.

გარეგნულათ ყველაფერი რიგზე გამოიყურებოდა, მაგრამ სინამდვილეში მთელი ეს უზარმაზარი მშენებლობა ყალბ საფუძველზე იგებოდა და სწორეთ ეს იყო მთავარი მიზეზი იმ მოვლენის, რომ ასეთ ჩქარი ზრდის პროცესს უფრო სწრაფი პოლიტიკური ტრაღედია მოჰყვა შედეგათ.

იაპონიის იმპერიალისტურ ექსპანსივობას ერთი მთავარი შეცდომა ჰქონდა, სახელდობრ ის, რომ მან ანგარიში არ გაუწია, ან და სათანადოთ ვერ შეაფასა პაციფიკზე (პაციფიკი—წყნარი, დიდი ოკეანე) მოსალოდნელი ჭიდილის გამართვა, სწორეთ იმ ძალების, რომლებიც ომის გამო დროებით პაციფიკის პრობლემას ბუნებრივათ საჭირო ყურადღებას ვერ აქცევდენ, ხოლო როცა ისინი ომის საკითხს გადასწყვეტდენ აშკარა უნდა ყოფილიყო, რომ დიდი ოკეანეს საკითხს მარტო იაპონიას არ გადააწყვეტინებდენ. იაპონიამ იმპერიალისტური ომით ისარგებლა და თავისი იმპერიალისტური მიზნები განახორციელა, მილიტარულათ გამაგრდა, მაგრამ არავითარი მას საშუალება არ უხმარია, რომ იმ პოლიტიკური სამკუთხედის, რომლის ერთ - ერთ მხარეს თვითონ წარმოადგენდა, დანარჩენი ორი კუთხე დაესუსტებია. პირიქით იაპონიის უმთავრესი მეტოქე, შეერთებული შტატები. უაღრესად გაძლიერებული გამოვიდა მსოფლიო ომიდან. ინგლისის სიძლიერესაც არ განუცდია მნიშვნელოვანი დანაკლისი. აქედან ცხადია, რომ ორივე პაციფიკის პრობლემით დაინტერესებული ძალა, ყოველ ღონეს იხმარდა, რომ ახლად ფრთა ასხმულ „აღმოსავლეთის არწივისათვის“ ფრთები შეეკვეცა. ამის შედეგი იყო ის, რომ ომის ნადავლი იაპონიამ სულ მოკლე ხანში ისევე ადვილათ დაჰკარგა, როგორც შეიძინა.

პაციფიკზე იაპონიის გაბატონების ერთი უდიდესი მსოფლიო მნიშვნელობის პოლიტიკური შედეგი იყო ანგლო - საქსონური ბლოკი, მომავალი „მსოფლიოს გზის მაჩვენებელი“, რომლის საფუძველი 1901 წლის 18 ნოემბერს ჰაი პაუნსფოტის ხელშეკრულებით (პანამის არხის შესახებ) ჩაიყარა და ვაშინგტონის კონფერენციაზე ფაქტად იქცა.

ვაშინგტონის კონფერენცია ფორმალურათ ამერიკის მიერ იყო მოწვეული. მას საფუძვლად და მიზნათ განიარაღება ჰქონდა დადებული, მაგრამ სინამდვილეში ინიციატივა ინგლისელების იყო და რეალურათ მისი საქმიანობა პაციფიკის პრობლემაზე ეყრდნობოდა.

კონფერენციას პირველი იმპულსი 1921 წლის დიდი ბრიტანეთის საიმპერიო კონგრესმა მისცა. სახელდობ იმით, რომ დიდ ოკეანეს ფარგლებში მდებარე დომინიონებმა უარი განაცხადეს იაპონიასთან არსებული კავშირის განახლებაზე. ამით შეერთებული შტატებისათვის ფრიად ხელსაყრელი მომენტი შეიქნა. დომინიონების იაპონიის წინააღმდეგ მიმართული პოლიტიკა ამერიკის წისქვილზე წყალს ასხამდა, ვინაიდან ფქვევის ინტენსივობა და პროდუქტივობა დიდათ იყო დამოკიდებული პაციფიკის ახალი ბატონ - პატრონის სურვილზე. ინგლისის თხოვნით ამერიკა კონფერენციის მოწვევის წინადადებით გამოვიდა, რასაც შედეგათ დიდ ოკეანეს პრობლემის სრულებით სხვა გვარად ჩამოყალიბება მოჰყვა. ინგლის - ამერიკის ბლოკმა მიზნათ დაისახა პაციფიკზე იაპონიის სიძლიერის დამარცხება და ახლად აღორძინებული აღმოსავლეთ იმპერიალიზმის თავის სასარგებლოდ შესუსტება.

ბლოკმა ამ მიზანს ჩინებულად მიაღწია. იაპონია ჩაყენებულ იქნა თავის ძველ კალაპოტში. ის იძულებული გახდა პირობა დაედო, რომ მანჯურიიდან ჯარებს გაიყვანდა. აგრეთვე ჩინეთში გახსნილი ფოსტის ლიკვიდაცია უნდა მოეხდინა, შანტუნი ჩინეთისათვის დაებრუნებია და აღმოსავლეთ ციმბირი და სახალინის ჩრდილოეთ ნაწილიდან თავისი ჯარები გაეყვანა. ორიოდე წლის განმავლობაში ის იძულებული შეიქნა ყოველი ეს შეესრულებია. მან სათ კუთხედის ჩრდილოეთ მხარის მნიშვნელობა თითქმის არარაობამდე მიიყვანა. თუ კონფერენციამდე ჩრდილონაწილის პერსპექტივები იმას გვიჩვენებდა, რომ იქ შექმნილი კუთხე მალე 90 გრადუსს გადააჭარბებდა, კონფერენციის შემდეგ ის ოციოდ გრადუსამდე შემცირდა და სამაგიეროდ სამხრეთ-აღმოსავლეთის და სამხრეთ-დასავლეთის კუთხეები გადიდდა და გაძლიერდა.

ანგლო-საქსონურმა ბლოკმა, რომელმაც თავის პირველ მიზანს უკვე იაპონიის დასუსტებით მიაღწია, შეუდგა თავისი პოზიციების გამაგრებას. აქ უკვე გამოირკვა ნამდვილი მისწრაფება თითქოს პაციფისტურათ განწყობილი იანკეეს კაპიტალისა. შეერთებულმა შტატებმა თავისი ფლოტის უმთავრესი ნაწილის ბაზა დიდ ოკეანეში კალიფორნიის და პანამის არხის სანაპიროებზე გადაიტანა. აგრეთვე ჰავაის კუნძულთა ჯგუფის მთავარი პუნქტი პერლ ჰაბორი პირველ ხარისხოვან სამხედრო ფლოტის სადგურათ გამოაცხადა. ეს უკვე აშკარა მაჩვენებელი იყო იმისა, რომ შეერთებული შტატები პაციფიკის ტალღებში პირველობისაკენ მიისწრაფოდა. ამას დაერთო 1925 წელში მომხდარი ჰაკაის წყლებში დიდი სამხედრო აღლუმი, რომლის შემდეგ საზღვაო კომისიის თავმჯდომარემ სენატორმა ბოტლერმა კონგრესზე განაცხადა, რომ პერლ ჰაბორი მსოფლიოს უძლიერეს სამხედრო ბაზათ უნდა გახდეს.

როგორც ამ განცხადებიდან, ისე მთელი იმ საქმიანობიდან, რომელსაც ვაშინგტონის კონფერენციიდან დაწყებული შეერთებული შტატები აწარმოებდა, აშკარაიყო, თუ საჭე საით იყო მიმართული. ამ გარემოებამ ინგლისს ახალი თავსამტვრევი საკითხი შეუქმნა. თუ ამდენ ხანს ორი იმპერიალისტური ძლიერება პატარა იაპონიას ასუსტებდა იმ მიზნით, რომ ჰეგემონია მათ დარჩენოდა, ეხლა ასპარეზზე გამოვიდა მისი ტოლი ყოფილი მოკავშირე, რომლის მისწრაფება ინგლისის მიზნებს საფრთხეს უმზადებდა.

ცხადია, რომ ინგლისის იმპერიალიზმი გულზე ხელდაკრეფილი არ შეხვდებოდა ამ მოვლენას. პერლ ჰაბორს მან ინდოეთის ოკეანეს ყურეში მდებარე სინგაპური დაუპირისპირა და შეუდგა მისი სამხედრო ძლიერების შექმნას იმ ანგარიშით, რომ სამხედრო გემების ზარბაზანთა პირი პაციფიკის სამხრეთ ნაწილისაკენ იქნებოდა მიმართული.

აქედან აშკარაა, რომ პაციფიკზე ძალთა სრულებით ახალი ჭიდილი შეიქნა. ორ ბუმბერაზს უკანასკნელ წლებში ახალი ძალა მიემატა, სრულებით ახალი მისწრაფებით და მიზნებით. ეს ახალი ძალაა საბჭოთა რუსეთი, რომლის საშუალებით წინანდელ ძალთა ჭიდილში სრულიად ბუნებრივად იქნა შეტანილი ახალი მომენტი, მაგრამ ამაზე შემდეგ.

ი. ნარსია.

# ინდუსტრიალიზაციის სესხის მნიშვნელობა

საკავშირო მთავრობის მიერ უკანასკნელად გამოშვებულ შინაურ სესხს მინიჭებული აქვს გარკვეული მიზანი: სესხით შეგროვილი თანხა უნდა მოხმარდეს სახალხო მეურნეობის ინდუსტრიალიზაციას.

განსაკუთრებული პირობები, რომელშიაც სწარმოებს ჩვენი სოციალისტური აღმშენებლობა, არის: წარსულიდან მემკვიდრეობით დარჩენილი სუსტი განვითარება ჩვენი როგორც ამომღები, ისე დამმუშავებელი მრეწველობისა, მრეწველობის საგრძნობლად დაძველებული იარაღი და გადასაზიდავი საშუალებანი და ტეხნიკურად ჩამორჩენილი, ორგანიზაციულად დაქუცმაცებული წვრილი ხასიათი სოფლის მეურნეობისა, რომლის პროდუქცია, ნაშრომი, შეადგენს უდიდესს ნაწილს მთელი სახალხო მეურნეობის პროდუქციისა. საგარეოს კი, სოციალისტურ აღმშენებლობისათვის დამაბრკოლებელ პირობების რიცხვს ეკუთვნის: გარემოცვა კავშირისა იმპერიალისტური სახელმწიფოების მხრივ, მათი ძალადობის და შანტაჟის პოლიტიკა კავშირის მიმართ, პოლიტიკა, რომელიც ღებულობს იმდენად უფრო თავხედურ ხასიათს, რაც უფრო წინ იწევა და მკვიდრდება ჩვენი სოციალისტური აღმშენებლობა.

სახალხო მეურნეობის განვითარება სოციალისტური გზით მოითხოვს მსხვილი საწარმოო ერთეულების შექმნას. საამისო პოლიტიკური პირობები მუშა ხალხის ხელთ არის. ოქტომბრის 10 წლის მოახლოვებულმა ზეიმმა ბრმასაც უნდა აჩვენოს, რომ პროლეტარიატს მაგრად უჭირავს ხელში თავისი ბატონობის დროშა: საბჭოების საშუალებით ბურჟუაზიული წყობის სიმაგრეები დანგრეულია, ვ. ი. ლენინის სიტყვებით რომ სვთქვათ, „არა არისტოკრატიულად, არამედ პროლეტარულად, გლეხურად“, ე. ი. საფუძვლიანად.

მეურნეობის აღდგენის საქმეში ჩვენ უკვე დიდი მიღწევები გვაქვს: მივაღწიეთ მეურნეობის ომამდე არსებულ დონეს და მივაღწიეთ ისე, რომ აღმშენებლობის სოციალისტურ გზიდან არ გადავვიხვევია. საბჭოთა კავშირის 1926—27 წელს. მრეწველობის მთელი პროდუქციის 85,9 პროც. ეკუთვნის სახელმწიფო მრეწველობას, მხოლოდ საქართველოში სახელმწიფო მრეწველობის პროდუქცია (კოოპერატიულ წარმოების ჩათვლით) მეტსაც შეადგენს — 93 პროც-ს.

მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ განსაკუთრებით საქართველოში, როგორც ყოფილ რუსეთის იმპერიის სხვა განაპირა მხარეებში, მრეწველობა იყო რევოლიუციამდე ჩანასახ მდგომარეობაში: რამდენიმე ქარხანა თბილისში, გაჩერებული ქარხნები ბათომში და სხვა რამდენიმე ადგილას, თუ არ ჩავთვლით ამოღებითი მრეწველობის ცენტრებს — ჭიათურის და ტყიბულის მაღაროებს. ეს იყო დოეს. მრეწველობის განვითარებას ჩვენში ხელს უშლიდა მეფის და გაბატონებულ კლასების იმპერიალისტური პოლიტიკა; საქართველო იყო კოლონიის მდგომარეობაში.

სულ ახალი ხანა მრეწველობის განვითარების დარგში დაიწყო საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადების შემდგომ; ყოველწლიურად შენდება არა მარტო ახალი საწარმო ერთეულები, არამედ იქმნება მე-

ურნეობის შემდგომი განვითარებისათვის წინასწარი საჭირო პირობები: უკვე აშენებულია ზაჰესი, შენდება რიონჰესი, და გაყვანილია რკინისგზის შტოები — ოზურგეთის, ზუგდიდის, გაყავთ გზები და სხვა. ამჟამად შენდება: თბილისის მაუდის ფაბრიკა; ბარიტის ქარხანა— ქუთაისში; აბრეშუმის სახვევი ქარხანა — ქუთაისში და ხონში; აბრეშუმის ქარხანა—ოზურგეთში; ცემენტის ქარხანა — ს. კავთისხევში (გორის მაზრა); შუშის ქარხანა— ბორჯომში; ჰიდრო - ელსადგური — ახალქალაქში და საკონსერვო ქარხანა — გორში. ჩვენ ჩამოვთვალეთ მხოლოდ მსხვილი წამოწყებანი.

ქვეყნის ინდუსტრიალიზაციას თან მოჰყვება პროლეტარიატის რიცხვობრივი ზრდა, სოფლის მეურნეობას ჩამორჩენილ, ზედ-მეტ მუშა - ხელის პროლეტარიატის რიგებში ჩაბმა, მათი საცხოვრებელი დონეს ამაღლება და მაშასადამე პროლეტარულ სახელმწიფოსი კიდევ მეტი გამაგრება.

სულ სხვა შედეგები მოჰყვება ინდუსტრიალიზაციას ბურჟუაზიულ ქვეყნებში, სადაც მეურნეობა ვითარდება, თუ ვითარდება, სტიქიურად, ყოველ გეგმის გარეშე; ამ შემთხვევაში ბურჟუაზიას ამოძრავებს ზედ-მეტი მოგების დაუშრეტელი წყურვილი და ამ კლასის შიგნით კერძო მეპატრონეთა ურთიერთ შორის მეტოქეობა, რის შედეგათ არის სამეურნეო კრიზისები, ფაბრიკა - ქარხნების დახურვა, და ამასთანავე უმუშევრობა, ულმობელი ექსპლოატაცია და სილატაკე მუშა ხალხისა.

ჩვენი მეურნეობის ინდუსტრიალიზაციას მოჰყვება პროდუქციის თვითღირებულების გაიაფება, რაც ასწევს რეალურ ხელფასს ქალაქებში და სოფლათ კი გააუმჯობესებს ღარიბ გლეხობის მდგომარეობას იაფ საქონლის მიწოდებით: მაშასადამე ინდუსტრიალიზაცია ამაგრებს ქალაქის და სოფლის, მუშის და ღარიბ გლეხობის კავშირს.

არ არსებობს ისეთი დარგი საზოგადოებრივი ცხოვრებისა, რომელზედაც თავისი ცხოველმყოფელ დაღს არ ასვამდეს ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია. ეს უკანასკნელი აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს იმპერიალისტურ სახელმწიფოების მხრივ ყოველთვის მოსალოდნელ თავდასხმის გამარჯვებით მოგერიებისათვისაც.

ყოველ მშრომელს ნათლად უნდა ჰქონდეს წარმოდგენილი ინდუსტრიალიზაციის და მაშასადამე ინდუსტრიალიზაციის სესხსაც უდიდესი სოციალ-პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს მუშურ-გლეხურ სახელმწფოს სამეურნეო საფუძვლის გამაგრების საქმეში და თვითეულმა მშრომელმა ხელი უნდა შეუწყოს სესხის წარმატებით ჩატარებას იმ შეგნებით, რომ ამით კეთდება მისი საკუთარი საქმე. სოციალიზმის საქმე.

კ. ჯავრიშვილი.

# ყოფ. ს.-დ. მენშევიკების ხმა

## I

1921 წლამდე მე ვითვლებოდი სოც.-დემ. პარტიის წევრად და მჯეროდა, რომ ვიცავდი რევოლიუციას და ვაკეთებდი მუშათა კლასის საქმეს. საქართველოს გასაბჭოების შემდეგ, სოც.-დემ. პარტიის ლიდერების მიერ წარმოებულმა აშკარა კონტრ-რევოლიუციონურმა საქმიანობამ დამარწმუნა, რომ მათ უღალატეს სოციალიზმის და მუშათა კლასის საქმეს და მოექცენ რეაქციის ბანაკში.

არა ნაკლებ დამარწმუნებელი შეიქმნა ჩემთვის საბჭოთა ხელისუფლების და კომუნისტ. პარტიის ის აღმშენებლობითი მუშაობა და ჭეშმარიტად რევოლიუციონური პოლიტიკა, რომელიც ახასიათებს მათ ეროვნული და სოციალური საკითხებისადმი მიდგომაში და მის გადაწყვეტაში.

ყოველივე ამის შემდეგ, დანაშაულად ვსთვლი მე მაყურებლის როლში დარჩენას, პოლიტიკური ნეიტრალიბის პოზიციაზე გაჩერებას და, ვიზიარებ რა საბჭოთა პლატფორმას, ვდგები ახალგზელთა რიგებში, რომ შეძლების და გვარად მეც ვიმუშაო რევოლიუციისა და მუშათა კლასის საქმეზე, სოციალიზმის გასამარჯვებლად.

სევერიანე ოქროპირის ძე ველიაშვილი.

## II

1921 წ. ვირიცხებოდი სოც. დემ. პარტიაში. საქართველოს გასაბჭოების შემდეგ არ ვიზიარებდი სოც. დემ. პ. არალეგალურ მუშაობას და ვიდექი პარტიის გარეშე. დღეს, როდესაც დავრწმუნდი, რომ მენშევიკური პარტია სავსებით ასცდა მარქსისტულ გზას, მხარში ამოუდგა ბურჟუაზიას და რეაქციასთან ერთად შეერთებული ძალით ოცნებობს პროლეტარული დიქტატურის დამხობაზე, როდესაც ვხედავ, რომ ემიგრაციის ლიდერები ისევ ემზადებიან ავანტიურისათვის, ჩემს მოვალეობად ვსთვლი საჯაროდ განვაცხადო, რომ ვგმობ მენშევიკურ პარტიას, ვდგები საბჭოთა პლატფორმაზე და ვიმუშავებ ახალგზელების რიგებში, რომ დავიცვა ოქტომბრის რევოლიუციის მონაპოვარი თავისუფლება.

სერგო ნესტორის ძე ჩხიროძე.

# წერილი ფოთიდან

1 ოქტომბერს ქ. ფოთის ლენინის სახელობის კლუბში შესდგა მრავალ-რიცხოვანი საზოგადო კრება ყოფ. მენშევიკთა და უპარტიოთა თანდასწრებით, სადაც მომხსენება გააკეთა საერთაშორისო მდგომარეობაზე და ქართულ ემიგრაციის „მუშაობის" შესახებ ამხ. ი. გაბუნიამ.

მოხსენების შემდეგ შემოვიდა მრავალი შეკითხვები საქმიანი შინაარსის, რომელსაც მომხსენებელმა ამომწურავი პასუხი გასცა.

ამის შემდეგ მიღებულ იქნა რეზოლიუცია, რომელშიაც აღნიშნავენ რა კომპარტიის და საბჭოთა ხელისუფლების მრავალ მიღწევებს როგორც პოლიტიკურ, ისე ეკონომიურ ფრონტზე, აშკარად გმობენ პარიზში მოკალათებულ ხალხის ავანტიურისტულ პოლიტიკას.

კრების შემდეგ გამოითქვა სურვილი საჯარო მოხსენების ხშირად მოწყობის შესახებ.

4 ოქტომბერს ყოფ. მენშევიკ. შორის მომუშავე ბიუროს ბინაზე, ამხ. მ. მგალობლიშვილის თავმჯდომარეობით შესდგა კრება აქტიურად მომუშავე ამხანაგების ყოფ. ახალგაზრდა მარქსისტებს შორის, სადაც მოხსენება „ცენტრ. ბიუროს მუშაობის შესახებ" გააკეთა ამხ. ი. გაბუნიამ.

მოხსენებამ გამოიწვია აზრთა გაცვლა-გამოცვლა, რის შემდეგ მიღებულ იქნა სათანადო რეზოლიუცია.

გამოითქვა სურვილი ყოფ. მენშევ. შორის მომუშავე ამხანაგების ყრილობის მოწვევის აუცილებლობის შესახებ ცენტრ. ბიუროს მიერ.

ძია გაბო.

სარედაქციო კოლეგია.

პოლიგრაფტრესტის მე-5-ე სტამბა, კამოს ქუჩა № 68.